სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 5 მაისი 2005 №98 (2421) ფასი 50 თეთრი

ბათუმი თბილისით გაიფიცა

ეს უკვე ახალია: უფულო „ბათუმმა“ პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართა და ხელფას-პრემიების გადაუხდელობის შემთხვევაში მოედანზე გასვლას უარობს.

ჩემპიონატის მომდევნო, 33-ე ტური 8, მაისსაა და ბათუმელი ფეხბურთელები ამთავითვე აფრთხილებენ კლუბის მესვეურებს — არ იქნება ფული და არ წავალთ თბილისში „თბილისთან“ სათამაშოდ.

აი, ასეთი საცოდავია ჩვენი ფეხბურთი...

ფერო ქირესს ფულს არ აძლევს

4

ნუგზარ კანდელაკის გალა წარმოდგენა

ქართველი მწვრთნელი საჩემპიონო აბურთავებასთან ბაქოშიც ახლოსაა

12

3:1 პსვ-ს სამი კარგი გოლი და მილანის სტამგოლი

ზაზას ზანზარა თავური

თბილისმა ყელი გამოიღადრა და...

ახალი ქართული ფინალი: ლოკომოტივი — ზესტაფონი

...„ზესტაფონი“ — „თბილისი“ ბოლო წუთებს ითვლის, მასპინძელთა ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი მძლავრ თავურს ურტყამს და... გოლ! გულშემატკივრებით გადაჭედილი ზესტაფონის სტადიონი აფეთქდა — ფეროელები თასის ფინალში არიან, მაგრამ გულქვა უნდა ყოფილიყავი, „თბილისი“ არ შეგცოდებოდა. ლუის ცაკარიასის ბიჭები ბოლო წუთებამდე 1:1-ს ინარჩუნებდნენ და მეორე ტაიმში ისეთი უნაღდესი საგოლე მომენტები გაფლანგეს, კარგა ხანს გულზე ლოდივით ედებათ.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში კი ფინალისტი, ფაქტობრივად, პირველივე მატჩში გაირკვა. „ლოკომოტივი“ 2:0-ის გამნიავებელი არ იყო, არც მცხეთაში დაიზარა „ვიტ ჯორჯიას“ წაქცევა და ფინალშიც ალალად გავიდა.

ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი 1:2. მიხეილ ბობოხიძის პირველმა გოლმა ვეტერინარებს ნირიც წაუხდინა და ფინალისტობის შანსიც

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005 ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

ეინდჰოვენი. „ფილიპსი". 35 100 მაყურებელი

პსვ 3:1 მილანი (0:2)

1:0 პარკი (9), 2:0 პოპუ (65), 2:1 ამბროზინი (90), 3:1 პოპუ (90)

1 გომესი

16 ლუსიუსი, 4 ალექსი, 5 გუმა, 3 ი. ლი

14 ფოგელი

6 ვან გომელი, 8 კოკუ

17 ფარფანი, 7 პარკი

9 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

შეცვლა

ბუმა — 29 რობერტი (70)

1 დიდა

2 კაფუ, 13 ნესტა, 31 სტამი, 3 მალდინი

21 პირლო

8 გატუზო, 23 ამბროზინი

22 კაკა, 20 ზეედორფი

7 შევჩენკო

მწვრთნელი: პარლო ანჩელოტი

შეცვლა

მალდინი — 4 კალაძე (46),
ზეედორფი — 15 ტომასონი (69)

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

ჯარიმა: 16-17; კუთხური: 2-6; კარისკენ დარტყმა: 6-5; კარში დარტყმა: 6-2; თამაშგარე: 0-6

„მილანი" ფინალშია, მაგრამ... აი, ახლა კი, როდესაც ეს აუცილებლად სათქმელი „მაგრამ" უკვე ვთქვით, დავიწყოთ იმაზე ფიქრი თუ რა მაგრამ?

მაგრამ ის, რომ „პსვ ეინდოვენმა" ძალიან კარგი ფეხბურთი ითამაშა და გასავარდნად არ გვემეტებოდა; ის, რომ ფეხბურთში შედეგს ესთეტიკური მხარე რომ განაპირობებდეს, წუხელ მას უნდა მოეგო; ის, რომ „მილანისგან" ერთი თავდამსხმელით თამაში და მეტოქისთვის ინიციატივის დათმობა ბევრისთვის და ვინ იცის, საკუთრივ კლუბის პრეზიდენტისთვის, სილვიო ბერლუსკონისთვის შეიძლება მოულოდნელიც იყო — გახსოვთ, მისი შარშანდელი რისხვა, როდესაც კარლო ანჩელოტიმ რამდენიმე მატჩში თავდამსხმელის მოკლების ხარჯზე ნახევარდაცვა გახადა უფრო მრავალრიცხოვანი?

მაგრამ, მაგრამ, მაგრამ... „შავ-წითლებმა" რაციონალურად ითამაშეს და ვისაც რა უნდა, ის მოსწონდეს, ასეთ ტაქტიკასა და შედეგს არსებობის ისეთივე უფლება აქვს, როგორიც ნებისმიერ სხვას. ერთი სიტყვით, „მილანი" არც მეტი, არც ნაკლები, ჩემპიონთა ლიგის ფინალშია და თანაც სამ წელიწადში მეორედ.

ეინდჰოვენში გამართულ დრამატულ შეხვედრას ხვალინდელ „სარბიელში" დაწვრილებით დავუბრუნდებით, ამიტომ აქ სიტყვას აღარ განვავრცობთ და უბრალოდ მოგახსენებთ თუ შეგახსენებთ, რომ 25 მაისს სტამბოლში, სეზონის ბოლო შეხვედრაში ერთმანეთს დღევანდელი გამარჯვებული „მილანი" და „ლივერპული" შეხვდებიან.

პაპუნა კედია

ინგლისი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ფულჰემი 1:3 ნიუკასლი

გერმანია
საგარეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
მიუნხენი (მ) 1:1 ბაიერნი (მ)
კიკერსი 2:1 რეგენსბურგი
ვეჰენი 1:2 დარმშტადტი
აალენი 1:1 მაინცი (მ)
აუგსბურგი 2:0 შტუტგარტი (მ)

შვედეთი
თასის მეორე ეტაპი
იოსტერსუნდი 2:3 *ატვიდაბერგი*
სირიანსკა 0:4 *იორგრიტე*
ასირისკა 2:1 გეფლე

უნგრეთი
ბორსოდი ლიგა
XXVI ტური
დებრეცენი 3:1 ტატაბანია
დიოშდიორი 2:0 კაპოშვარი
ფერენცვაროში 2:0 ბეკეშჩაბა
დიორ ეტო 3:1 ნირედიჰაზა
ჰონვედი 1:0 ვაშაში
პეჩი 1:0 უიპეშტი
ვიდეოტონი 2:3 მტკ
ზალაეგერსეგი 0:1 შოპრონი

რუსეთი
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ამკარი 0:0 *ხიმკი* (0:2)

დანია
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბრიონსჰიოი 2:2 აკადემისკი

იაპონია
ჯეი ლიგა, X ტური
ივატა 2:1 გამბა
იოკოჰამა 1:1 შიმიცუ
ნიიგატა 2:1 კავაზაკი
სერეზო 0:0 ვერდი
ტოკიო 0:2 კაშიმა
იჩიჰარა 1:1 ჰიროშიმა
ომია 1:0 კაშივა
კობე 0:1 ურავა
ნაგოია 0:0 ოიტა

ავსტრია
მაქსბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
რაპიდი 5:0 ზალცბურგი

სლოვაკეთი
I ლიგა, XXXVIII ტური
პეტრჟალკა 0:0 ჟილინა
პუხოვი 1:0 ტრნავა

სერბეთი
პრვა ლიგა
XXVI ტური
ვოივოდინა 1:3 პარტიზანი
ბორაცი 2:0 ჰაიდუკი (ბ)
ოგილიჩი 4:2 ბუდუჩნოსტი
ოფკ 4:1 ჰაიდუკი (კ)
ცრვენა ზვეზდა 1:1 სარტიდი
ჟელეზნიკი 3:2 რადნიჩკი
ზემუნი 1:0 სუტიესკა
ზეტა 2:0 ჩუკარიჩკი

უკრაინა
თასის
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
დნიპრო 0:0 *შახტარი* (1:2)
დინამო 2:0 კრივბასი (1:1)

შვეიცარია
სუპერლიგა
გადადებული
მატჩები
შაფჰაუზენი 1:1 აარაუ
ცსამაძსი 0:4 ბაზელი
სენტ გალენი 1:2 თუნი
ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩები
იუვენტუსი 4:1 მეირინი
გადენი 1:0 ბულე
კრინსი 1:1 ივერდონი
ვოლენი 0:2 სიონი
ვილი 0:2 კიასო

პოლონეთი
პირველი ლიგა
გადადებული
მატჩები
პოლონია 1:0 ამიკა
გურნიკი 0:0 ლეგია

დავით ყიფიანის თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

ბობოხიძემ ნავსი და ვიტ ჯორჯია გატეხა

მაწანწალა და ცალი ყური ზესტაფონისკენ

მცხეთა. 4 მაისი. 16 საათი. არმაზი. 300 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 1:2 ლოკომოტივი (0:2)

0:1 ბობოხიძე (25), 0:2 ქებაძე (27), 1:2 დილმელაშვილი (35პ)

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, დ. ლომაია, ინწკირველი (სახოკია 46), თ. კობიაშვილი, იმედაშვილი (გველესიანი 62), რაზმაძე, დილმელაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ფეიქრიშვილი (ებანოიძე 60), ვ. გოჩაშვილი, მარცვალაძე
სათადარიგონი: ბედიაშვილი; კვახაძე, ლ. კვარაცხელია, გ. დათუნაიშვილი
მწვრთნელი: ჟანი კარნევალი

ლოკომოტივი: სტურუა, რ. ონიანი, გ. ონიანი, მანჩხავა, გიგაური, ხეთურიძე, სანიკიძე (დ. ფოფხაძე 75), ლ. ქებაძე, ხირბილაძე (კახელიშვილი 65), ბობოხიძე (ალავერდაშვილი 71)
სათადარიგონი: ზ. ჩალაძე; ექონია, რამონი, მძინარიშვილი
მწვრთნელი: ნოდარ აკობია

გაფრთხილება: გიგაური (35), ლომაია (90)

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

ინსპექტორი: ნ. კაკულია

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ მიმდინარე სეზონში ერთი მჭიდ-მატჩიც არ უთამაშია და ამას გუშინ ველოდით, თუმც ვიტელები ერთხელაც ჩაფლავდნენ და მათთვის სეზონი, ფაქტობრივად, დასრულდა — „ვიტ ჯორჯია“ აწი ჩემპიონატში სხვებს თუ დააკარგვინებს ქულებს, თორემ თავად ველარაფერს შესწვდება.

სულ სხვაგვარად გაუხდა საქმე „ლოკომოტივს“ — თასის ფინალშიც გავიდა და ჩემპიონატშიც სავსებით ხელეწიფება „ვერცხლისთვის“ ბრძოლა.

ნოდარ აკობიას მოქნილი გუნდი რომ ჰყავს, ადრეც არაერთხელ გვითქვამს და „ლოკომოტივმა“ გუშინაც ერთობ მობილურად ითამაშა. ვიტელებმა თავიდანვე მონდომებით შეუტიეს, მეტოქე მისსავე საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვეს კიდეც, მაგრამ საგოლე მომენტების შექმნას ვერ ახერხებდნენ, „ლოკომოტივი“ ამგვარ დაწოლას უძლებდა.

„ვიტ ჯორჯიამ“ სტუმარზე ყველაზე მწვავედ მაშინ გაიწია, როცა ფეხმალი ოთარ მარცვალაძე მცველს წამოეწია და კარიდან გამოსულ ზვიად სტურუას ეპაექრა ბურთზე მისასწრებად, მაგრამ ველარ აჯობა.

ერთი სიტყვით, „ვიტ ჯორჯია“ უიმედო სიტუაციაში ჩავარდნილს სულაც არ ჰგავდა, ორბურთიანი უპირატესობის გაბათილებისთვის შემართება არ დაეწუნებოდა და პირველი გოლი რომ გაეტანა, ნერვიული და შმაგი თამაში გარდაუვალი ჩანდა.

მაგრამ ლოკომოტიველმა მიხეილ ბობოხიძემ სწორედ გუშინ მოახერხა მეორე ეტაპზე თავისი უგოლო სერიის შეწყვეტა — ლაშა ქებაძის პასით საგოლე პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ არ იჩქარა, დადევნებული მცველი საპირისპირო სვლაზე ოსტატურად გააბითურა და 6-7 მეტრიდან სერგო ჭურაძეს დაბალი დარტყმით გაუტანა.

მორჩა, დამთავრდა — „ვიტ ჯორჯია“ აღარ იყო „ლოკომოტივისთვის“ ოთხი გოლის გამტანი, იმ მინიმუმის, რაც მას თასის ფინალში გაიყვანდა.

ბობოხიძის გოლი იმდენად შოკური აღმოჩნდა ჟანი კარნევალის ბიჭებისთვის, რომ ორ წუთში ლევან სანიკიძის პასით და ვიტელთა დაუდევრობით ქებაძე ჭურაძესთან ეულად დარჩა და 0:2.

ნირწამხდარი „ვიტ ჯორჯია“ მაინც არ ცხრებოდა და 11-მეტრიანსაც გამორჩა — ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს დავით გიგაურის ხელი შეეგება და მერაბ მალაღურაძემაც ნიშნულისკენ მიუთითა — დავით დილმელაშვილმა უნაკლოდ დაარტყა.

ამან ცოტა ხასიათზე მოიყვანა ვიტელები, წვივსაფრებსაც ლაწალუწი აუვიდათ, მაგრამ ის აფეთქება მაინც არ ჩანდა, რაც „ვიტ ჯორჯიას“ 26 მაისისკენ გაახედებდა.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, ქებაძის გადაცემით ბობოხიძე დარჩა ჭურაძესთან პირისპირ, გასცდა მეკარეს, მაგრამ ბურთი გაექცა და მომენტიც გააცუდა. ვიტელებს კიდევ შერჩენოდათ ნიათი, თუმც თანდათან ეწრიტებოდათ ის. კარნევალიმ შეცვლებს მიმართა, იქნებ ამით გამოვაცოცხლო გუნდიო, მაგრამ ამანაც ველარაფერი შესძინა „ვიტ ჯორჯიას“. სტუმრებს კი ერთხელაც მიეცათ საგოლე შანსი — გიორგი ალავერდაშვილმა ჭურაძეს ვერ აჯობა.

შეხვედრის ჩამთავრებას 6-7 წუთი უკლდა, როცა მოედანზე მაწანწალა ძაღლი შეკუნტრუშდა, სიგრძეზე გადასერა მინდორი და ახალისა ტრიბუნა, რომელსაც ცალი ყური ზესტაფონისკენ ჰქონდა, იქ მართლაც სხვანაირი ხალისი და დრამა გაჩაღებულიყო.

ზესტაფონი. 4 მაისი. 16 საათი. ცენტრალური. 12 000 (ტევადობა 12 000)

ზესტაფონი 2:1 თბილისი (0:0)

1:0 იონანიძე (30), 1:1 ჯიქია (40), 2:1 ზირაქიშვილი (90)

ზესტაფონი: სომხიშვილი, იონანიძე, ჩივილაძე, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, განუგრავა, ნუდნი (ზირაქიშვილი 60), ძამსაშვილი (იმედაძე 70), შავგულიძე (პარამონოვი 83), გ. თურმანიძე, კ. ჩხეტიანი
სათადარიგონი: ქვაჩახია, ბ. ნოზაძე, სულაკაძე, გურუა
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

თბილისი: გრიშიკაშვილი, შ. ჯიქია, მესხი, მიქიაშვილი, ქემოკლიძე, ლოლაძე, გ. ფოფხაძე, გენაძე, იაშვილი (მინ ჩოი 90), ფიფია, ბ. ჟღენტი (აფციაური 80)
სათადარიგონი: ჯინჭარაძე, ხიდეშელი, ლილუაშვილი, ბოჭორიძე, ბარაბაძე
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

გაფრთხილება: მესხი (31), ჯიქია (51), ფიფია (55), გენაძე (87), ზირაქიშვილი (90)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

ინსპექტორი: ო. გუნთაძე; **დირექტორები:** პ. ბურჯალიანი, ა. კაჭახიძე

თასის ფასი სიხარული

ოთარ მაღლაკელიძე ზესტაფონიდან

ნახევარი წელია, ზესტაფონი ფეხბურთით ცხოვრობს, მაგრამ ამხელა ინტერესი აქამდე არც ერთ თამაშს არ გამოუწვევია. არც მსგავსი სიხარული გვინახავს ფეროელთა სტადიონზე.

„თბილისთან“ საპასუხო ნახევარფინალი ბოლო დღეებში დიდი თუ პატარა იმერლის მთავარი სალაპარაკო თემა ყოფილა. თამაშამდე ორი დღით ადრე კი ადგილობრივი ტელევიზიით გულშემატკივართათვის გამაფრთხილებელი რგოლების გაშვებაც დაუწყიათ. აქაოდა, არსებობს ეჭვი, რომ საპასუხო შეხვედრაში პროვოკაციები იგეგმება თამაშის ჩასაშლელად და მაქსიმალურად ფრთხილნი იყავითო. ამიტომაც იყო, პირველი ტაიმის ბოლოს მოედანზე ბოთლის გადამგდები მავანი ქომაგი გარშემომყოფებმა კინაღამ რომ ჩაქოლეს.

მატჩი 95 წუთს გაგრძელდა და დაძაბულობა ერთი წუთითაც არ განელებულა. ატალახებულ მინდორზე ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა და მსაჯ ლევან ფანიაშვილსაც ხუთჯერ მოუხდა ჯიბიდან ყვითელი ბარათის ამოღება.

პირველი ტაიმი მთლიანად „ზესტაფონისა“ იყო. საწყისი ნახევარი საათის განმავლობაში თოდუამ, თურმანიძემ და განუგრავამ შორიდან შეამოწმეს გრიშიკაშვილის მზადყოფნა. ორჯერ მეკარემ იყოჩაღა, ერთხელ კი ბურთი მიზანს ასცდა. ყველაზე რეალური საგოლე მომენტი ღონღაძეს შეექმნა. ახლოდან დარტყმული მისი ძლიერი თავური ცარიელი კარიდან მცველმა მიქიაშვილმა გამოიტანა. ზეწოლამ შედეგი 30-ე წუთზე მოიტანა. ძამსაშვილის მარჯვენაფლანგურ რეიდსა და საჯარიმოში ჩაწოდებას თბილისელთა მილიო მცველის, ლოლაძის შეცდომა მოჰყვა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილ იონანიძეს გატანა არ გასჭირვებია. ამის შემდეგ ათ წუთში „ზესტაფონს“ მინიმუმ ორჯერ მაინც შეეძლო გატანა. ჯერ იყო და, გრიშიკაშვილის წინ ეულად დარჩენილმა განუგრავამ მეკარეს დაუმიზნა, მერე კი სულაც ცარიელი კარის წინ მყოფმა ნუდნიმ საწყალობლად ააცილა.

„თბილისმა“ მეტნაკლებად სახიფათოდ მხოლოდ მე-40 წუთზე შეუტია და პირველი კუთხურიც მოიგო. ჩაწოდებულმა ბურთმა საჯარიმოში იტრიალა და შოთა ჯიქიასთან მივიდა. მისი დარტყმული კარში შეგორდა.

მეორე ტაიმიც ფეროელების შეტევებით დაიწყო. თბილისელებმა კი უხეშობას უმატეს. ოცი წუთი ბურთი სტუმრების ნახევარზე ტრიალებდა, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. პირიქით, მალე ინიციატივას „თბილისი“ დაეუფლა და სტუმრებმა თამაშის ბოლომდე ფინალის საგზურის განაღდების სამი ურეალურესი შანსიც გააფუჭეს. გენაძე, იაშვილი და შეცვლაზე შესული აფციაური მეკარე სომხიშვილთან პირისპირ ერთმანეთის მიყოლებით აღმოჩნდნენ, თუმც გატანა ვერავინ მოახერხეს და მსაჯის მიერ წაშლებულ პირველ წუთზე დაისაჯნენ კიდეც. თოლუას მაღალი ჩაწოდებული ბურთი [illegible] ბულს ასევე შეცვლაზე შესულმა ზირაქიშვილმა შესწვდა, ... არტყა და...

მატჩის შემდეგ მოელი სტადიონი უკვე 26 მაისის თამაშზე ლაპარაკობდა. თასის წასაღებად თბილისს უამრავი სტუმარი ეწვევა.

ზაზა ზირაქიშვილისა (მარცხნივ) და ზურაბ იონანიძის (შუაში) გოლებმა „ზესტაფონს“ არნახული ანახა

„ფეროს“ შეფი ილია კოკაია



ალენ ჟირესი

ბურთის დოლბანაძვილის ფოტოები

ფერო ჟირესს ფულს არ აძლევს

ფედერაციამ მისაღები მოითხოვა

ფეხბურთის ფედერაციას საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ალენ ჟირესის ვალი აქვს და მის გასასტუმრებლად სპონსორ „ფეროსგან“ კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის მიღებას ელის.

ხელფასი ხელფასად და, ფედერაცია-ჟირესის კონტრაქტში ისიც წერია, რომ ნაკრებში მუშაობისთვის მწვრთნელს ბონუსიც ერგება, რაც ფედერაციამ სამ ნაწილად უნდა გადიხადოს. დღესდღეობით ალენ ჟირესს ხელფასი სრულად აქვს მიღებული, თუმც ბონუსის მესამედი ასაღები დარჩა.

გეხსომებათ, ამას წინათ გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ ფედერაციის მოვალეებს — სპონსორ „ფეროს“, საქართველოს რაგბის კავშირსა და ტელეკომპანია „სპორტი+“-ს თანხის გადახდის თაობაზე შეუთვალა და იქვე დასძინა, პირობების შეუსრულებლობისთვის სასამართლოში გიჩივლებთო. ჯერჯერობით საქმე არც სასამართლომდე მისულა და არც ფედერაციას მიუღია ფული. სამაგიეროდ, მიიღო წერილი „ფეროსგან“ — სპონსორი იტყობინება, რომ თანხას ფედერაციის ანგარიშზე აგვისტოში გადარიცხავს. ვალერი ჩოლარიას თქმით კი, აგვისტომდე შორია და ჟირესისთვის ბონუსი უახლოეს დღეებშია მისაცემი. „ფერო“ სპონსორული თანხის დაგვიანებით გადარიცხვას სააქციო საზოგადოებაში მიმდინარე რეორგანიზაციით ხსნის, თუმც ეს ამბავი ფედერაციას ნაკლებად აინტერესებს და კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის მიღებას ახლავე ითხოვს.

კოგა ინასარიძე

ყრილობა ქორთიარდში, ჟორდანია საავადმყოფოში



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 11 ივნისის ყრილობის გამართვა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გადაწყვიტა და ახლა საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს. ფედერაციის ყრილობა „ქორთიარდში“ 12 საათზე დაიწყება და არაუმეტეს ექვს საათს გაგრძელდება. სწორედ ექვსი საათით იქირავა ფედერაციამ საკონფერენციო დარბაზი.

ფედერაციის გენმდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით, ყრილობას ფიფა-უეფას იურიდიული კომიტეტების თავმჯდომარეები დამკვირვებლის სტატუსით დაესწრებიან.

აქვე გამცნობთ, რომ ფედერაციის აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას, რომელიც სამთვიან წინასწარ პატიმრობაშია, ჯანმრთელობის გაუარესების გამო დღეს-ხვალ მეხუთე საპყრობილიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანენ.

მერაბ ჟორდანია უკვე სამი კვირაა, პატიმრობაშია.

კოგა ინასარიძე

THE TIMES

სამი აბზაცი ტაიმსიდან

ექსპრესი კალაძისთვის: მილანი — ლონდონი



კახა კალაძის „მილანიდან“ „ჩელსიში“ სავარაუდო გადასვლის ამბავი მყარ საძირკველს რომ ეყრდნობა, გუშინდელ „ტაიმსში“ შეხედვამაც დაგვიდასტურა. მოგეხსენებათ, ინგლისურ პრესაში ჰაერიდან მოტანილი არაფერი იწერება და ამიტომაც საგანგებოდ გვენიშნა გაზეთის მთავარი საფეხბურთო კორესპონდენტის მეტ დიკინსონისა და მავანი ჯორჯ კოლკინის ერთობლივი წერილი სათაურით „მაურინიუმ ზაფხულის სატრანსფერო მზერა კოულიდან კალაძეზე გადაიტანა“. ქვემოთ ამ წერილის პირველ, ქართველი მკითხველისთვის საინტერესო მონაკვეთს გთავაზობთ...

„ჩელსი“ „მილანთან“ კახა კალაძის თაობაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს — ლონდონელებმა ეშლი კოულის შემდეგ მასზე გადართეს ყურადღება. მილანელი მცველი ჟოზე მაურინიუს იმ სამ ფეხბურთელს შორის ეგულება, რომელთა შეძენა მომავალ ზაფხულს აქვს განზრახული და, ალბათ, მას იმ სატრანსფერო კომბინაციაში გამოიყენებს, რომლის შედეგადაც „მილანში“ გაქირავებული ერნან კრესპო იტალიური გუნდის მუდმივ საკუთრებად იქცევა.

კალაძემ განსაკუთრებული შთაბეჭდილება თებერვალში „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში მოახდინა, როდესაც კრისტიანო რონალდო დაჩრდილა, მაგრამ გუნდში ადგილის დაბეჭებას პაოლო მალდინის საგანგებო კლასის გამო ვერ ახერხებდა. მიმდინარე სეზონში მან სერია A-ში მხოლოდ 16 შეხვედრაში ითამაშა.

27 წლის კალაძეს საქართველოს ნაკრებში 43 მატჩი აქვს ჩატარებული. მას ნახევარდაცვაშიც შეუძლია თამაში და კოულზე გაცილებით იაფიც ეღირება. „ჩელსიმ“ კერძო საუბრებში განაცხადა, რომ „არსენალის“ მცველი თავისი აგენტების საშუალებით თავად ცდილობდა „სტემფორდ ბრიჯზე“ გადასვლას, თუმცა იმის შანსი, რომ კოული ლონდონს გადაკვეთს და ერთი გუნდიდან მეორეში გადავა, აღარ არსებობს...

ხუთი ხუთოსანი და ხუთიც ოროსანი

ტორპედოს ევროპაში ყადაღა არ უშვებს

უეფას წესდებით, ევროტურნირების მონაწილე კლუბებს ლიცენზია რომ უნდა ჰქონდეთ, ეს უკვე ანბანივით ვიცით. საქართველოში კი კლუბებს, ზოგადად, არცთუ დალხენილი მდგომარეობა აქვთ და სალიცენზიო მოთხოვნების დაკმაყოფილებაც დიდ სატკივრად გაუჩნდათ. ჩვენთან ლიცენზირების პროცესი შარშან დაიწყო, 14-მა კლუბმა გამოთქვა მასში მონაწილეობის სურვილი — ათივე უმაღლესლიგელმა და ოთხმა პირველლიგელმა („ბორჯომი“, „ამერი“, „სპარტაკი“, „მერანი“), თუმც სურვილი ერთია, მოქმედება და შეძლება კი მეორე...

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სფფ-ის ლიცენზირების კომიტეტის თავმჯდომარე გერა ხეცურიანმა პრესკონფერენცია გამართა და ცუდი ამბავიც გვითხრა — „ტორპედო“ და „თბილისი“ წლეულს ევროტურნირებზე ალბათ ვერ ითამაშებენ.

„სამი კლუბის, „კოლხეთის“ „დილასა“ და „ბათუმის“ საკითხი არც განხილულა, რადგან მათ სურვილის გარდა არაფერი გააჩნდათ. „მერანმაც“ ვერ წარმოადგინა საჭირო საბუთები, „სიონში“ კი მხოლოდ ფინანსური კრიტერიუმი დააკმაყოფილეს, რაც საკმარისი არაა.

...ერთნაირ დღეში არიან „ტორპედო“ და „თბილისი“. ქუთაისელების თემა უფრო მტკივნეულია, კლუბმა მხოლოდ თებერვლის შემდეგ დაიწყო სალიცენზიო პროცესში ჩაბმა — ოთხი კრიტერიუმი წარმოგვიდგინეს, მაგრამ ფინანსურად უძლურები არიან. „ტორპედოს“ ანგარიში დაყადაღებულია, ამიტომაც ლიცენზიის მიცემაზე უარი ვუთხარით. ფინანსური კრიტერიუმი მოუწესრიგებელი აქვს „თბილისსაც“, თუმცა მათ შედარებით ნაკლები დარღვევები აღმოაჩნდათ და შესაძლოა, ლიცენზია მიიღონ“— ამბობს გერა ხეცურიანი.

„ტორპედოსა“ და „თბილისს“ ერთი გამოსავალი დარჩათ: სფფ-ის სააპელაციო კომიტეტს უნდა მიაკითხონ, სადაც განიხილავენ მათ საკითხს, მაგრამ თუ ქუთაისურმა კლუბმა ყადაღა არ მოახსნევინა სასამართლოს, ვერც სააპელაციო კომიტეტისგან მიიღებს ლიცენზიას. იმის ალბათობა, რომ 31 მაისამდე „ტორპედომ“ ეს საქმე მოაგვაროს, ძალიან მცირეა.

„მაისის ბოლოს უეფაში უნდა გავაგზავნოთ ლიცენზირებული კლუბების სია. ჩვენ რომ ტყუილუბრალოდ გავცეთ ლიცენზია, უეფაში მაინც გაიგებენ და ეს დამატებით პრობლემებს გამოიწვევს — სფფ-ის ლიცენზირების კომიტეტის ნაცვლად ყოველწლიურად უეფა განიხილავს ჩვენი კლუბების სიტუაციას და, რა თქმა უნდა, უფრო მკაცრად მოითხოვს ყველა კრიტერიუმის მოწესრიგებას. რაც შეეხება სააპელაციო კომიტეტს, საქმის საბოლოო განხილვამდე ერთი კვირაღა დარჩა, რაც „ტორპედოს“ მდგომარეობას ამძიმებს“ — თქვა ხეცურიანმა.

და რა მოხდება, თუ „თბილისსაც“ და „ტორპედოსაც“ ლიცენზიის იმედი გადაეწურებათ? ავტომატურად მათ ნაცვლად ევროტურნირებზე ლიცენზირებულები გავლენ.

გაგიკვირდებათ და, „დინამოსაც“ ემუქრება საფრთხე. კლუბს პირობითი ლიცენზია კი მისცეს, მაგრამ ფინანსურ კრიტერიუმში მცირე დარღვევები აქვს და 20 მაისამდე თუ ვერ გამოასწორა, ულიცენზიოდ დარჩება. იგივე სიტუაციაშია პირველლიგელი „ბორჯომიც“.

ახლა კი „ხუთოსნებზე“ ანუ ლიცენზირებულებზე: „ლოკომოტივს“ „ზესტაფონს“ „ვიტ ჯორჯიას“, „ამერს“ და „სპარტაკს“ ამ საქმეში პრობლემა არ შექმნიათ. გერა ხეცურიანმა ამ კლუბებს მადლობა გადაუხადა, განსაკუთრებით კი პირველლიგელები გამოყო — მათ წლეულს ევროტურნირებზე გასვლის შანსი არა აქვთ, მაგრამ წინ იყურებიან და სტრუქტურულად გამართულები არიანო.

ასეა თუ ისე, 14 კლუბიდან ოდენ ხუთი „ხუთოსანია“, ხუთი კი „ოროსანი“. „ოთხოსნები“ არიან „დინამო“ და „ბორჯომი“, ხოლო „ტორპედოსა“ და „თბილისს“ გაჭირვებული სამიანი დაუწერეს.

ღმერთმა ქნას, ლიცენზირების სააპელაციო კომიტეტში ქუთაისელთა და თბილისელთათვის საქმე შემოტრიალდეს, თუმც ეს უფრო კლუბების მარიფათზეა დამოკიდებული. ისე, რა გახდა ამ ყბადაღებული ყადაღის მოხსნა?!

ილია ნანოგაშვილი

ქართველ ლეგიონერთაგან ამირან მუჯირი ერთადერთია, ამ უქმეებზე გოლი რომ გაიტანა

სტანდარტური ქართველების სააღდგომო კანტი-კუნტი

ევროპული ჩემპიონატების სააღდგომო ტურებში ქართველებს თავი დიდად არ გამოუჩენიათ. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვეულებრივ ზე ჩვეულებრივი ტურები იყო და ჩვენც სათქმელ-საწერი ბევრი არაფერი გვაქვს...

ლევან კობიაშვილის „შალკემ“ წარმატების ერთ-ერთი მთავარი „იარაღი“ — სტაბილურობა დაკარგა. სხვა რა უნდა ვთქვათ, როცა გელზენკირხენელები სულ რაღაც სამი-ოთხი ტურის წინ ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ, ახლა კი მეორე ადგილიც საეჭვო გაუხდათ. აგერ, „ლევერკუზენთან“ მატჩშიც არასტაბილურობამ იჩინა თავი — „შალკე“ მეტოქეს 3:1 უგებდა, მაგრამ იმდენი „მოახერხა“, რომ ორი გოლი გაუშვა და ფრეს დასჯერდა. ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ კობიაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე და „კიკერისგან“ საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

უცნაურია და, „რეინჯერსს“ კვლავაც გაუჭნდა ჩემპიონობის შანსი. „სელტიკმა“ მოულოდნელად შინ 1:3 წააგო „ჰიბერნიანთან“ და „ჩაფრები“ ორი ქულით მიიახლოვა. „რეინჯერსის“ შემადგენლობაში ტრავმამოშუშებულმა ***შოთა არველაძემ*** ითამაშა, 69-ე წუთზე შევიდა მოედანზე, როცა ანგარიში 3:1 იყო გლაზგოელების სასარგებლოდ და მატჩიც ასე დამთავრდა. ***ზურაბ ხიზანიშვილი,*** როგორც ბოლოხანს ხდება ხოლმე, განაცხადში არ იყო და დიდი შანსია, ეს მისთვის ბოლო რეინჯერსული სეზონი იყოს.

რუსულ პრემიერლიგაში ხუთმა ქართველმა ითამაშა. დისკვალიფიცირებული *მალხაზ ასათიანის* გარეშე მოთამაშე „ლოკომოტივმა“ 1:1 წაიღო სანკტ პეტერბურგიდან, არადა, რომ წაეგო, ხმასაც ვერ ამოიღებდა, ისეთი იყო მასპინძელთა უპირატესობა. რკინიგზელთა ძირითადში ამ სეზონში პირველად გამოჩნდა ***მიხეილ აშვეთია,*** ვინც მე-60 წუთზე შეცვალეს.

ვლადიკავკაზის „ალანიამ“ „მოსკვასთან“ სტუმრად 0:1 წაგო. ვლადიკავკაზელთა შორის სამმა ქართველმა, ***კიტალი დარასელიამ, დავით კვირკველიამ*** და ***ლევან გვაზავამ*** ითამაშეს. აშკარაა, დარასელიამ ხანგრძლივი უქმობის მერე ფორმა აღიდგინა და ზედიზედ მეოთხე თამაშია, ჟურნალისტები ალანიელთა შორის საუკეთესოდ ასახელებენ.

ბულგარეთში ამირან მუჯირი გამოირჩა. სოფიის ცეესკამ 3:0 მოუგო „ვიდიმა-რაკოვსკის“ და ერთი გოლი ქართველმა ნახევარმცველმა გაიტანა. მუჯირს 23 მატჩში 5 გოლი აქვს გატანილი, მისი ცეესკა კი, ფაქტობრივად, ჩემპიონია.

საინტერესო ამბები მოხდა ლატვიის ჩემპიონატში. „სკონტომ“ შინ 0:2 წააგო უსახელო „რიგასთან“ და პირველი ადგილიც დათმო. ახლა ლატვიაში ლიეპაიას „მეტალურგსი“ ლიდერობს, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები „საქმეში აღარ არიან“ — „მეტალურგსში“ ხომ ლევან მიქაძე თამაშობს და საკმაოდ წარმატებულადაც.

კახა ზალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	ფიორენტინა 2:1	0	დისკვალიფიცირებული იყო	17	1	1
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	ლევერკუზენი 3:3	90	გააფრთხილეს	30	3	2
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	დორტმუნდი 2:2	50	შეცვლაზე ითამაშა	28	3	18
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	დორტმუნდი 2:2	26	შეცვლაზე ითამაშა	20	1	18
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	შ	დორტმუნდი 2:2	0	ტრავმირებულია	8	0	18
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	შ	კიოლნი 1:2	10	შეცვლაზე ითამაშა	15	2	8
დავით სირაძე	ტრირი	შ	კარლსრუე 0:2	32	შეცვლაზე ითამაშა	18	1	13
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	ს	აბერდინი 3:1	21	შეცვლაზე ითამაშა	20	4	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	ს	აბერდინი 3:1	0	განაცხადში არ იყო	15	0	2
პოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	პსვ 2:2	0	ტრავმირებულია	2	0	6
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ზენიტი 1:1	0	დისკვალიფიცირებული იყო	6	0	6
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	ზენიტი 1:1	60	გააფრთხილეს, შეცვალეს	2	0	6
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	ზენიტი 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	6
მათე ღვინიანიძე	ლოკომოტივი	ს	ზენიტი 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	6
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	ს	ზენიტი 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	6
ვიტალი დარასელია	ალანია	ს	მოსკვა 0:1	90		5	0	15
ლევან გვაზავა	ალანია	ს	მოსკვა 0:1	17	შეცვლაზე ითამაშა	2	0	15
ლადო ბურდული	ალანია	ს	მოსკვა 0:1	0	სათადარიგო	4	0	15
დავით კვირკველია	ალანია	ს	მოსკვა 0:1	90		6	0	15
ჯაბა კანკავა	ალანია	ს	მოსკვა 0:1	0	სათადარიგო	3	0	15
გიორგი შაშიაშვილი	ალანია	ს	მოსკვა 0:1	0	სათადარიგო	1	0	15
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	დინამო 2:1	19	შეცვლაზე ითამაშა	4	0	5
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გიორგი ლომაია	ხიმკი		ტური გამოტოვა			2	0	6
გოგიტა გოგუა	ხიმკი		ტური გამოტოვა			2	0	6
რევაზ გოცირიძე	კამაზი	ს	ურალი 0:0	35	შეცვლაზე ითამაშა	7	0	2
კახა მჟავანაძე	ანჟი	ს	სოკოლი 0:0	90	გააფრთხილეს	5	0	4
მამუკა ლომიძე	ჩკალოვეცი	ს	სკა-ენერგია 1:1	90		3	0	21
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	ლუჩ-ენერგია 1:2	90	გააფრთხილეს	6	0	22
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	შ	ფაკელი 1:0	90		8	0	15
დავით ხმელიძე	ჩელიაბინსკი		ტური გამოტოვა			6	0	12
შვეიცარია. სუპერლიგა								
ლადო ახალაია	ციურიხი		ტური გამოტოვა			4	0	5
ავსტრია. მაქსიმუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	შ	ბრეგენცი 2:0	0	ტრავმირებულია	21	4	8
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	ილიჩევეცი 0:3	51	შეცვალეს	21	4	3
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	შ	ობოლონი 0:1	0		17	2	10
ვასილ გიგიაძე	ტავრია	შ	ჩერნომორეცი 2:2	90		23	9	8
ალეკო ამისულაშვილი	დნიპრო	ს	დინამო 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	7
გრიგოლ ჭანტურია	ზაკარპატიე	შ	ბორისფენი 1:0	0		0	0	14
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	ს	შახტარი 1:2	0	ტრავმირებულია	7	3	12
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	შ	ვიდიმა 3:0	90	1 გოლი	23	5	1
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	ს	ნაფტექსი 1:2	0		12	0	7
კოტე დარსანია	ჩერნო მორე	ს	ნაფტექსი 1:2	0		9	3	7
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	პლოცკი	ს	გურნიკი 2:3	45	შეცვალეს	17	1	6
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორღალიძე	სკონტო	შ	რიგა 0:2	90		5	0	2
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	შ	რიგა 0:2	0		4	0	2
ზაალ ელიავა	სკონტო	შ	რიგა 0:2	52	შეცვალეს	5	0	2
დავით ჩალაძე	სკონტო	შ	რიგა 0:2	38	შეცვლაზე ითამაშა	4	0	2
ლევან მიქაძე	მეტალურგსი	ს	ვენტა 0:0	90		5	0	1
ალეკო რეხვიაშვილი	ვენტსპილსი	ს	დინაბურგი 1:0	90		4	0	3
გიორგი მოდებაძე	ვენტსპილსი	ს	დინაბურგი 1:0	90		4	1	3
თამაზ პერტია	დინაბურგი	შ	ვენტსპილსი 0:1	68	შეცვალეს	5	0	5
ყაზახეთი. სუპერლიგა								
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი	შ	ჟენისი 1:1	90		4	0	9

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

მდიდრები ითვლიან

ბექემი ისევ პირველია

ცნობილმა ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ ტრადიციულად მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა.

გასულ წელთან შედარებით, რა თქმა უნდა, გარკვეული ცვლილებები არის, მაგრამ არა ლიდერებს შორის — პირველი სამი ადგილი კვლავ მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებს, დევიდ ბექემს, რონალდოსა და ზინედინ ზიდანს უკავიათ. მათ იტალიელები — კრისტიან ვიერი და ალესანდრო დელ პიერო მიჰყვებიან.

აღვნიშნოთ ისიც, რომ მე-6 ადგილზე ინგლისის ნაკრებისა და „ჩელსის“ ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი დამკვიდრდა. რომელსაც უდავოდ ყოველმხრივ წარმატებული სეზონი ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ ქვემორე ჩამონათვალში იგულისხმება მოთამაშეთა ყველა სახის შემოსავალი — ხელფას-პრემიები, სარეკლამო კომპანიებთან გაფორმებული კონტრაქტები და ასე შემდეგ.

რაც შეეხება მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიან სპორტსმენს, ასეთად უკვე მერამდენე წელია, მეგოლფე ტაიგერ ვუდსი გვევლინება, რომლის შემოსავალიც წელიწადში 66 მილიონი ევროა. მას ოდნავ ჩამორჩება ფორმულა 1-ის გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი (63,5). მესამე-მეოთხე ადგილზე ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი ჰეიტონ მანინგი და არანაკლებ ცნობილი კალათბურთელი შაკილ ონილი არიან (28,9).

ხუთეულს კი ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი ასრულებს (27).

გიორგი კაკაბაძე

მსოფლიოს მდიდარ ფეხბურთელთა ათეული (წლიური შემოსავალი ევროებში)

ფეხბურთელი	კლუბი	ქვეყანა	მლნ
დევიდ ბექემი	რეალი	ინგლისი	25
რონალდო	რეალი	ბრაზილია	19,6
ზინედინ ზიდანი	რეალი	საფრანგეთი	13
კრისტიან ვიერი	ინტერი	იტალია	12
ალესანდრო დელ პიერო	იუვენტუსი	იტალია	9,5
ფრენკ ლამპარდი	ჩელსი	ინგლისი	9,4
რაული	რეალი	ესპანეთი	9,3
ტიერი ანრი	არსენალი	საფრანგეთი	9,2
ჯონ ტერი	ჩელსი	ინგლისი	8,6
ლუიშ ფიგუ	რეალი	პორტუგალია	8,5

ლიბერტადორესის თასი 2005

V ჯგუფი. VI ტური

ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) 3:2 ნასიონალი (ურუგვაი)
რივერ პლეიტი (არგენტინა) 1:1 ოლმედო (ეკვადორი)

საბოლოო ცხრილი

რივერ პლეიტი	6	5	1	0	12:5	16
ატლეტიკო ხუნიორი	6	3	0	3	8:9	9
ოლმედო	6	2	1	3	10:11	7
ნასიონალი	6	1	0	5	7:12	3

VI ჯგუფი. VI ტური

განფილდი (არგენტინა) 3:1 კარაკასი (ვენესუელა)
ტიგრესი (მექსიკა) 0:0 ალიანსა (პერუ)

საბოლოო ცხრილი

ტიგრესი	6	3	3	0	13:5	12
განფილდი	6	3	2	1	10:9	11
ალიანსა	6	1	2	3	4:7	5
კარაკასი	6	1	1	4	8:14	4

„ბარსელონასთან“ ექვსქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, მადრიდის „რეალი“ კვლავ ჩემპიონობაზე ოცნებობს და კატალონიელთა ჩამოტოვებისთვის ბრძოლაში „ვალენსიისა“ ეიმედება. საქმე ისაა, რომ მომავალ უქმეებზე ფრანკ რაიკარდის გუნდი „მესტალიას“ სტუმრობს, იქაურები კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან და „ბარსას“ არაფერს დაუთმობენ.

წინა უქმეებზე „ბარსამაც“ და „რეალმაც“ იმარჯვეს, პირველმა შინ „ალბასეტე“ დაამარცხა, მეორემ კი სტუმრად „სოსიედადს“ სძლია. კატალონიელთა კაპიტანი კარლეს პუიოლი და მადრიდელთა ვიცე-პრეზიდენტი ემილიო ბუტრაგენიო თავიანთი გუნდების საჩემპიონო შანსებსა და ზემოთ ხსენებულ მატჩებზე საუბრობენ

ჯარლეს პუიოლი: ბარსამ ისე უნდა ითამაშოს, როგორც არასდროს

— „ალბასეტესთან“ მატჩში დაშავდით, ახლა როგორ ხართ?

— თავით შევეჯახე მარკ გონსალესს, მეგონა, ტვინის შერყევა მექნებოდა, მაგრამ გადავრჩი. გუშინდელი ვარჯიში კი ექიმების რჩევით გამოვტოვე.

— თამაშის დასრულების მერე ქომაგები მღეროდნენ — ჩემპიონები, ჩემპიონები — ნაადრევი ხომ არ არის „ბარსას“ ჩემპიონად გამოცხადება?

— ცხადია, ნაადრევია. ფრთხილად უნდა ვიყოთ, წინ ოთხი რთული მატჩი გველის, თუმც ამ შეხვედრებში ქულების განაევებას არ ვაპირებთ და საჩემპიონო გვირგვინსაც დავიდგამთ.

— შეიძლება ითქვას, რომ კვირას „მესტალიაზე“ ჩემპიონი გამოვლინდება: თუ „ვალენსია“ დაამარცხეთ, მერე ხელს ვერავინ შეგიშლით...

— „ვალენსიას“ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში სურს და ამიტომ „მესტალიაზე“ დიდ ბრძოლას გაგვიმართავს. ეს გარემება მოდუნების უფლებას არ გვაძლევს, „ბარსამ“ ისე უნდა ითამაშოს, როგორც არასოდროს. მჯერა, ასეც იქნება და „ვალენსიას“ მოვუგებთ.



კარლეს პუიოლი



ემილიო ბუტრაგენიო

— „ალბასეტეს“ დამარცხება გაგიჭირდათ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ისინი „რეალმა“ პრემიებით დააინტერესა?

— ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, თუმც ამაზე სიტყვა არავის დასცდება. „რეალი“ ჩვენი ფეხის დაცდენას ელის, მაგრამ მადრიდელთა სამწუხაროდ, „ბარსა“ დარჩენილი ოთხივე თამაშის მოგებას აპირებს. ასე რომ, ჩემპიონობას ჩვენ ვიზეიმებთ.

ემილიო ბუტრაგენიო: ვალენსიას შეუძლია

— მომავალ ტურში „ბარსელონა“ „ვალენსიას“ ესტუმრება, „რეალი“ კი „რასინგს“ უმასპინძლებს. როგორ ფიქრობთ, ამ ტურის მერე „რეალის“ საჩემპიონო შანსი გაიზრდება?

— „ვალენსიას“ შეუძლია კატალონიელთა დამარცხება და მჯერა ამას მოახერხებს კიდეც. ახლა „ბარსელონა“ არცთუ კარგ ფორმაშია, ამიტომაც ჩვენ ჯერ კიდევ ვიბრძვით ჩემპიონობისთვის.

— მართლა გჯერათ, რომ „ბარსელონას“ გადასწრებას შეძლებთ?

— რატომაც არა, კატალონიელები სამ მატჩს სტუმრად გაამართავენ, თან ისიც გაიხსენეთ, როგორ გაუჭირდათ მათ „კამპ ნოუზე“ „ალბასეტეს“ დამარცხება. პრიმერას ფინიში ყოველთვის რიუელია და ვფიქრობ, „ბარსა“ ქულებს დაკარგავს. „რეალი“ კი ჩინებულ ფორმაშია, ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგო და დარჩენილ შეხვედრებსაც მოიგებს.

გაუმარჯოს კატალონიას, გაუმარჯოს ბასკეთს!

რობერტო კარლოსმა, სოსიედადი მისცემსო

მადრიდის „რეალის“ ბრაზილელ მცველს რობერტო კარლოსს გუშინ ბასკური „სოსიედადის“ გულშემატკივრები შემოელანძღა.

საქმე ის გახლავთ, რომ პრიმერას 34-ე ტურში, როცა „რეალმა“ „სოსიედადს“ „ესტადიო ანოეტაზე“ 2:0 მოუგო, დამარცხებით გამწარებულმა იქაურმა ინჩასობამ მომხვდურ „გალაქტიკოსებს“ გულის გასახეთქათ — „ბარსა“, „ბარსას“ სკანდირება დაუწყეს.

ჰოდა, რა გასაკვირია, ძალიანაც რომ დაბოღმილა რობერტო კარლოსი: „ახლა, პრიმერადივიზიონის ბოლო ტურზე ხელის ჩაქნევა თავისუფლად შეგვიძლია. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურია დარჩენილი, „ბარსელონას“ კი ოქროს მედლების მოსაპოვებლად გარჯა მხოლოდ სამში მოუწევს — ბოლო მატჩს ხომ ისინი „მეგობარ“ „სოსიედადთან“ ატარებენ, რომელიც, თუ სასწაული არ მოხდა, კატალონიელებს სამ ქულას აუცილებლად დაუთმობს“.

რობერტო კარლოსი (მარჯვნივ) „ესტადიო ანოეტაზე“ ძლიერ გააბრაზეს

მოგეხსენებათ, „რეალს“ ლიდერ „ბარსელონასთან“, მხოლოდ და მხოლოდ 6 ქულა აშორებს:

„სოსიედადს“ რომ ორი წლის წინ ჩემპიონობა ავართვიო, ამიტომაც არიან ქომაგები ჩვენზე განაწყენებულნი. „ანოეტაზე“ „რეალს“ ისეთი კატალონიური სიმღერები უმღერეს, ეჭვიც არ მეპარება, „თავიანთ“ „ბარსას“ გულში ჩაიკრავენ. ერთადერთ იმედად „ვალენსია“ გვრჩება, თუ ანტონიო ლოპესის ბიჭებმა ფრანკ რაიკარდის შეგირდები ვერ დამარცხეს, „რეალს“ წლეულს ჩემპიონობა არ უწერია“ — დასძენს რობერტო კარლოსი.

ლადო ხომერიკი

იურგენ კლინსმანი

მხოლოდ ადიდასი!
კლინსმანი ბიჭებს დაემუქრა

იურგენ კლინსმანმა ბუნდესნაკრების ფეხბურთელებს შეუთვალა, ეროვნული გუნდის სპონსორ „ადიდასის“ ფირმის ბუცებს ვინც არ ჩაიცმევს, ის ნაკრებში ვერ მოხვდებაო.

„ბილდთან“ ინტერვიუში მწვრთნელმა ამის თაობაზე განაცხადა: „ჩემი არც ერთი ფეხბურთელი სხვა ფირმის ბუცებით არ ითამაშებს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მას შეუძლია, ეს წესი დაარღვიოს, მაშინ დაჯდეს სახლში და ნაკრების მატჩს ტელევიზორში უყუროს“.

რამ გამოიწვია კლინსმანის განრისხება? საქმე ისაა, რომ ფეხბურთელთა ერთმა ჯგუფმა ქვეყნის საფეხბურთო კავშირში წერილი აფრინა, კერძო კონტრაქტები გვაქვს და ნებას თუ დაგვრთავთ, ეროვნულ გუნდში სხვა ფირმის ბუცებით ვითამაშებთო. წერილის ავტორები კი არიან: თომას ბრდარიჩი, მიროსლავ კლოზე, ფრანკ ბაუმანი, თომას ჰიცლშპერგერი, ტიმო ჰილდებრანდი, იენს ლემანი, არნე ფრიდრიხი, დიტმარ ჰამანი და კრისტიან ვიორნსი.

ბუცები ბუცებად და ჯერ კიდევ ოქტომბერში, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა იენს ლემანს შენიშვნა საგანგებოდ მისცა, „ადიდასის“ ხელთათმანებს თუ არ ჩაიცმევ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებო.

ვაჟა ხუციშვილი

მილანს ჯილა
ჩელსის რა? არც ძამბროტა

იტალიაში, ყველასთვის ცნობილმა და პოპულარულმა საფეხბურთო აგენტმა ბეპე ბონეტომ ერთ-ერთ ადგილობრივ რადიოგადაცემაში მიიღო მონაწილეობა და რამდენიმე საინტერესო განცხადება გააკეთა.

ბონეტო არაერთი ცნობილი მოთამაშის აგენტია, რომელთა შორის არიან ჯანლუკა ძამბროტა, ალბერტო ჯილარდინო და ანჯელო პერუცი. ქვემოთ სწორედ ამ ფეხბურთელებზე ვისაუბრებთ



ჯანლუკა ძამბროტა „იუვენტუსის“ ერთგულია

რა ხანია, ჭორები აგორდა, „ჩელსი“ უკვე მოელაპარაკა „იუვენტუსს“ და მომავალი სეზონიდან ჯანლუკა ძამბროტა ლონდონელთა მაისურას მოირგებსო. მართალია, კონკრეტული თანხა არ სახელდება, მაგრამ ამბობენ, რომან აბრამოვიჩი ფულს არ დაიშურებსო. თუმც ბონეტომ ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო: „გარწმუნებთ, ეს გამორიცხულია. უბრალოდ, ტურინელებს არ სურთ მისი გაყიდვა, რაოდენ დიდი თანხაც არ უნდა შესთავაზონ. „იუვენტუსის“ დატოვებაზე, რამდენადაც ვიცი, არც თავად ჯანლუკა ფიქრობს. ასე რომ, ჭორებს ნუ აჰყვებით“.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ „ჩელსის“ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიჩნეული ძამბროტას ხელში ჩაგდება არ გამოუვა. არადა, ლონდონელები დიდი ხანია, მარცხენა ფლანგის გაძლიერებაზე ფიქრობენ და მაღალი კლასის ფეხბურთელის შეძენა სურთ. ძამბროტამდე მათი ყურადღების ცენტრში არსენალელი ეშლი კოული იყო.

ახლა ალბერტო ჯილარდინოზე: მოგეხსენებათ, „პარმას“ ვარსკვლავი მომავალ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მოთამაშე იქნება. სულ მცირე, ოთხი გრანდი — „მილანი“, „რეალი“, „ინტერი“ და „იუვენტუსი“ შეეცდება მის ყიდვას.

თავად ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ აღნიშნა, ამჟამად მხოლოდ „პარმას“ პრობლემებზე ვფიქრობ, მაგრამ იმის თქმა შეიძლება, რომ თუ არჩევანის წინაშე დავდექი, კარიერის სამშობლოში გაგრძელებას ვამჯობინებო. ეს მისმა აგენტმაც დაადასტურა, რაც ძალიან მცირე შანსს უტოვებს მადრიდის „რეალს“, ხოლო ჯილარდინოსთვის ბრძოლაში ფავორიტი კვლავ „მილანია“.

ბეპე ბონეტო: „იდეალური გამოსავალი მისი ოჯახისთვის და საკარიერო კარიერისთვის იტალიაში დარჩენა იქნება. ასე რომ, არა მგონია, ალბერტომ აპენინების დატოვება გადაწყვიტოს. შეიძლება ისიც ვთქვა, რომ მისი „სან სიროზე“ გადასვლის შანსი მარილაც ძალიან დიდია“.

ბოლოს კი ანჯელო პერუციზეც ვთქვათ. „ლაციოს“ ვეტერანი გოლკიპერი სავარაუდოდ, „სტადიო ოლიმპიკოზე“ დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ თავად ფეხბურთელი ცოტა ხნის წინ გუნდიდან წასვლაზე ფიქრობდა და მხარეებს შორის ახალი შეთანხმების გაფორმება ძალიან გაჭანჭყლდა

„მე ვესაუბრე რომაელთა სპორტულ დირექტორ გაბრიელე მარიტინოს და მან მითხრა, რომ კლუბს ანჯელოსთან განშორება ნაძალადევად არ სურს“ — განაცხადა ბონეტომ.

გიორგი კაკაბაძე

რომა პიაქსს აკეთებს
კასანო და ტოტი რჩებიან?

„რომაში“ კრიზისი გრძელდება — „ჯალოროსის“ ვერც ბრუნო კონტიმ უშველა და ლამისაა, სერია **A**-დან გასავარდნ კლუბებს შორის მოხვდნენ. თუმც გუნდის ხელმძღვანელობა იხტიბარს არ იტეხს და კვლავ ოპტიმისტურადაა განწყობილი. მეტიც, დანიელე პრადე, რომელსაც „გლადიატორთა“ ახალ სპორტულ დირექტორად მალე ოფიციალურად დაამტკიცებენ, ირწმუნება, ფრანჩესკო ტოტი და ანტონიო კასანო გუნდში დარჩებიანო.

ფრანჩესკო ტოტის და ანტონიო კასანოს „რომას“ უფროსობა ვერ ელევა

„ჩვენ ამგვარი პრობლემა უკვე მოვაგვარეთ ვინჩენცო მონტელასთან და მასთან ახალი კონტრაქტი გავაფორმეთ. ახლა ტოტისა და კასანოს ჯერია. მჯერა, ისეთ შეთანხმებას მივაღწევთ, რომ ყველა კმაყოფილი დარჩება“ — აღნიშნა პრადემ.

მოგეხსენებათ, ტოტის „რეალს“ და „მილანს“ უკავშირებდნენ, ხოლო კასანოს „იუვენტუსში“ გადასვლის ამბავი ყველას გადაწყვეტილი ჰგონია. თავად ფეხბურთელებმა უკვე არაერთხელ თქვეს, „სტადიო ოლიმპიკოზე“ იმ შემთხვევაში დავრჩებით, თუ დავინახავთ, რომ ხელმძღვანელობა კლუბის გაძლიერებაზე სერიოზულად ფიქრობსო.

ისევ პრადე: „ჩვენ ახალი სისტემა შევიმუშავეთ და კლუბის აღმშენებლობას სწორედ ასე ვაპირებთ. ეს დაახლოებით „აიაქსის“ სტრუქტურას წაგავს, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ნამდვილად სერიოზული და შორს მიმავალი გეგმები გვაქვს, რომელთა განხორციელებას ფინანსური პრობლემების საბოლოოდ მოგვარებით ვიწყებთ“.

გიორგი კაკაბაძე

მე შენ გაჩვენებ სეირს
პიზაროს თავური ჩხუბშიც მაგარი სცოდნია

მიუნხენის „ბაიერნის“ მეცხრამეტე ჩემპიონობის აღნიშვნა ერთ-ერთ ბავარიულ ბარში გვარიანი მუშტი-კრივით დასრულდა — გერმანული სუპერკლუბის სამხრეთამერიკელებმა, კლაუდიო პიზარომ და მარტინ დემიკელისმა ქეიფის დროს ნაცისტურად განწყობილი ადგილობრივი პერსონალი გაასილაქეს.

ჩხუბი კი კლაუდიო პიზაროს ლათინოამერიკული სიმღერებისადმი დიდმა სიყვარულმა გამოიწვია: პერუელი და არგენტინელი მშობლიურ **LA BAMBA**-ს მაგიდაზე შემხტარნი მღეროდნენ, რაც დისკოთეკაზე შებოდიალებულმა ნაცისტებმა და მეპატრონეებმა რატომღაც ვერ იგუეს. ისინი პიზაროსთან მივიდნენ და უთხრეს, რომ სიმღერა შეეწყვიტა, თანაც მოთხოვნას ლანძღვა-გინების კორიანტელი მოჰყვა.

„პიზაროს და დემიკელისმა მომხვდურებს, რა იქმა უნდა, საკადრისი პასუხი გასცეს, რაშიც მე და მიხაელ ბალაკიც სიამოვნებით დავეხმარეთ“ — აღნიშნა ჩხუბის კიდევ ერთმა მონაწილემ ტობიას რაუმ.

ასეა თუ ისე, უსიამოვნება როგორღაც ჩაიფარცხა, თუმცა, როგორც ერთ-ერთი ბულვარული გაზეთი გვამცნობს, კლაუდიო პიზარომ, თურმე ერთ-ერთს ისეთი თავური უთავაზა, რომ თანამეინახეებმა „დაზარალებული“ ბარიდან ძლივს გაათრიეს.

ლადო ხომერიკი

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

AFP ლივერპულიდან

ლუის გარსიამ გაიტანა, უილიამ გალასმა გამოიტანა, გვერდითმა მსაჯმა რომან სლიშკომ კი, უეჭველი გოლი იყოო

მაურინიუ სლიშკომ გააბრაზა

ეს მხოლოდ ნახევარფინალი იყო, მთავარი წინაა

ლივერპული. „ენფილდ როუდი". 42 529 მაყურებელი

ლივერპული 1:0 ჩელსი (0:0)

1:0 ლუის გარსია (4)

1 დუდეკი	1 ჩეხი
3 ფინანი 23 კარაგერი 4 ჰიიპია 21 ტრაორე	14 ჯერემი 6 რ. კარვალიუ 26 ტერი 13 გალასი
16 ჰამანი 25 ბიშკანი	4 მაკელელე
10 ლუის გარსია 8 ჯერარდი 6 რიისე	30 ტიაგუ 8 ლამპარდი
5 ბაროში	10 ჯ. კოული 22 გუდიონსენი
	15 დროგბა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი	მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
შეცვლა: ბაროში — 9 სისე (60), ჰამანი — 7 კიუელი (73), ლუის გარსია — 18 ა. ნუნიესი (84)	შეცვლა: ტიაგუ — 9 კეჟმანი (68), კოული — 16 რობენი (68), ჯერემი — 29 ჰუთი (76)

გაფრთხილება: ბაროში (8)

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

ჯარიმა: 13-12; კუთხური: 2-4; კარისკენ დარტყმა: 2-6; კარში დარტყმა: 4-1; თამაშგარე: 1-4

„ლივერპული" მეექვსედ გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში, რაფაელ ბენიტესი კი ჟოზე მაურინიუს გზას იმეორებს — შარშან უეფას თასის ფინალში იყო და მოიგო, წლეულს კი ჩემპიონთა ლიგის მოგებას ეცდება. თავის მხრივ, მაურინიუმ ეს 2003-ში და 2004-ში მოახერხა „პორტუსთან" ერთად, როცა ჯერ უეფას თასი დაისაკუთრა, მომდევნო წელს კი — ჩემპიონთა თასი.

მაშ ასე, რაფაელ ბენიტესი: „მე არ ვიცი, ბურომა კარის ხაზი გადაკვეთა თუ არა, მაგრამ მთავარია, რომ ფინალში გავედით. გოლი რომ არ ჩაეთვალათ, მაშინ მსაჯს პეტრ ჩეხისთვის წითელი ბარათი უნდა ეჩვენებინა და ბაროშის წაქცევისთვის პენალტი უნდა დაენიშნა. გუნდმა დიდებულად იშრომა, ქომაგებიც შეუდარებელნი იყვნენ და გვჯეროდა, რომ მატჩი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდებოდა. „ლივერპულმა" პირველ შეხვედრაშიც კარგად ითამაშა და საპასუხოშიც ფეხბურთელებმა დავალება საუცხოოდ შეასრულეს. მადლიერი ვარ გუნდისა და ქომაგებისა, რადგან განსაკუთრებული საღამო გამოვიდა. მოთამაშეებმა გასახდელში გვარიანად იმხიარულეს. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენ არა მხოლოდ ინგლისში და ევროპაში, არამედ მთელს მსოფლიოში საუკეთესო გულშემატკივრები გვყავს. მაღალ ტემპში ვითამაშეთ და გოლიც სწრაფად გავიტანეთ. პირველ ტაიმში „ჩელსის" გასაქანი არ მივეცით, სამაგიეროდ, მეორეში მათ გვაჯობეს და ამ შემთხვევაში ჩვენი დაცვა ბრწყინვალედ გაისარჯა. შესვენების შემდეგ ბურთის დაჭერა გვინდოდა და ამისთვის სისე და კიუელი შევუშვი, რომლებმაც ფრიადზე იშრომეს. არ მსურს, ვინმე გამოვარჩიო, მაგრამ ერთს კი აღვნიშნავ, რომ ორთვიანი უთამაშებლობის მიუხედავად, დიტმარ ჰამანმა ჩემი იმედები გაამართლა".

ლუის გარსია: „მილან ბაროში მეკარემ წააქცია, მე გავიქეცი და ტერისთან ჯაჯგურში ბურთს ფეხი მივარტყი. დავინახე, რომ გოლი იყო, ახლა კი ამით ძალიან ბედნიერი ვარ. რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს უმნიშვნელოვანესი გოლია. შარშან, ზაფხულში რომ აქ მოვედი, ერთ-ერთი საშინაო ჯილდოს მოგებაზე ვფიქრობდი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ პირველივე სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალში აღმოვჩნდებოდი. ამ გამარჯვების შემდეგ ყველა ლივერპულელი გმირია. ჩვენ შესანიშნავად ვითამაშეთ დაცვაში და თავდაუზოგავად ვიშრომეთ. განსაკუთრებით მაშინ გაგვიჭირდა, მსაჯმა ექვსი წუთი რომ დაამატა".

სტივენ ჯერარდი: „ჯეიმი კარაგერმა ფანტასტიკურად ითამაშა. „ჩელსი" მეორე ტაიმში ძალიან გააქტიურდა, მაგრამ დაცვა საუცხოოდ გაუმკლავდა. ჩვენ ინგლისის ჩემპიონებს ვძლიეთ. ამ სეზონში მეხუთედ შევხვდით „ჩელსის" და პირველად მოვახერხეთ მათი ძლევა. ლუის გარსიას გოლი იყო თუ არა ჩასათვლელი, არ ვიცი, მაგრამ „ლივერპული" ფინალშია, გულშემატკივრების საქებრად კი სიტყვებს ვერ ვპოულობ".

ჯეიმი კარაგერი: „ლივერპულის" ისტორია ასეთი მატჩებით იქმნებოდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მსგავსი თამაშები მოგვაკლდა, მაგრამ მათი დაბრუნება და ძველი დიდების აღდგენა გვწყურია. ამჯერად დიდ გამარჯვებას გემო გავუგეთ და შანსი გვაქვს, კლუბის ისტორიას კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი შევმატოთ. ეს მხოლოდ ნახევარფინალი იყო, მთავარი მატჩი კი ჯერ მოსაგები გვაქვს".

ჟოზე მაურინიუმ გოლი გააპროტესტა, თუმც იქვე აღნიშნა, ფინალში „ლივერპულს" ვუქომაგებო:

„ჩვენ ლუის გარსიამ კი არა, გვერდითმა მსაჯმა, რომან სლიშკომ გაგვიტანა. „ჩელსი" უკეთესად თამაშობდა და წააგო, რასაც არ იმსახურებდა. 1:0-ის შემდეგ „ლივერპული" დაცვაში ჩაჯდა და მხოლოდ ბურთის მოგერიებით იყო დაკავებული, რასაც მათი ფეხბურთელები დიდი სიამოვნებით აკეთებდნენ. ყოველთვის ლაპარაკობდნენ „ენფილდ როუდის" განსაკუთრებულობაზე და მე ეს დღეს ვიგრძენი, თუმც ჩემს ფეხბურთელებზე სტადიონზე შექმნილ ვითარებას არ უმოქმედია. ვფიქრობ, რომ რომან სლიშკოს უნდა ვკითხოთ, რატომ ჩათვალა გოლი. ბურთმა კარის ხაზი მთლიანად თუ არ გადაკვეთა, გოლი არ ითვლება და მსაჯი ასეთ საეჭვო შემთხვევაში ასი პროცენტით დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გოლია. ერთმა კაცმა გადაწყვიტა ბედი იმ გუნდის ფეხბურთელებისა, რომელთა უმეტესობას ჩემპიონთა ლიგაში არასდროს უთამაშია. ალბათ, ეს გოლი მთავრიდან ან „ენფილდის" ტრიბუნიდან „ჩამოვარდა", თუმც რას ვიზამთ, შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა. ზოგჯერ მეც ვცდები და ჩემი ფეხბურთელებიც. ჩემთვის მისაღებია მსაჯის შეცდომაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სხვათა ზემოქმედების გამო არ მოსდის. მოთამაშეებმა მითხრეს, გოლი არ იყოო, მე კი ფირი არ მინახავს, თუმც ისიც გავიგე, რომ ფირზეც კარგად ჩანს. ჩვენ ვერ ვითამაშეთ ისე კარგად, როგორაც შეგვიძლია. არიენ რობენი და დემიენ დაფი არ გვყავდა, ფლანგის მოთამაშეებისა და სისწრაფის გარეშე კი მოგება ძნელია. რობენი ბოლო ათი წუთის განმავლობაში ბევრს კი ეცადა, მაგრამ ფორმაში არაა და ამიტომ არ გამოუვიდა. „ლივერპულს" კი გულით ვულოცავ გამარჯვებას და ფინალში მოგებას ვუსურვებ. რაფაელ ბენიტესმა დიდი სამუშაო გასწია და ამას იმსახურებს. ჩემს ფეხბურთელებს კი მაინც გმირებს ვუწოდებ".

უილიამ გალასი, რომელმაც ლუის გარსიას დარტყმული ბურთი კარიდან გამოიტანა: „ინგლისის ჩემპიონები კი ვართ, მაგრამ ეს აღარ მახარებს, რადგან ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვერ გავედით. დაღლილები არ ვიყავით და უკეთესად თამაში გვმართებდა. მხოლოდ ერთი მატჩის მოგება გვჭირდებოდა სიმისოდ, რომ სტამბოლში ჩვენ წავსულიყავით".

„ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი: „დათრგუნულები ვართ. ზედიზედ მეორე წელია, ნახევარფინალში გავდივართ, მაგრამ ფინალამდე ვერ ვაღწევთ. იმის გააზრება, რომ პრემიერლიგა მოვიგეთ, მარცხით გამოწვეულ სინანულს ვერ შეამსუბუქებს. ვფიქრობ, რომ „ლივერპულზე" უკეთ ვითამაშეთ და ორი მატჩის ჯამში გამარჯვებას სწორედ ჩვენ ვიმსახურებდით. მეორე ტაიმში მეტოქეს ვაჯობეთ, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. აქამდე ოთხჯერ შევხვდით მათ და სამჯერ მოვუგეთ, თუმც ამჯერად „ლივერპულმა" დაცვაში ბრწყინვალედ ითამაშა, განსაკუთრებით ჯეიმი კარაგერმა მოინდომა. ცხადია, უხასიათოდ ვარ. მთლიანობაში „ჩელსისთვის" ეს სეზონი კარგი იყო, მე კი მაინც მრცხვენია ჩვენი გულშემატკივრებისა".

ვაჟა ხუციშვილი

უეფას თასი 2004-2005
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს
რუსებს ფინალი აბოდებთ

ცსკა (რუსეთი) – პარმა (იტალია) (0:0)

სავარაუდო შემადგენლობები

აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ოდია, შემბერასი, რახიმიჩი, დანი კარვალიუ, ჟირკოვი, ოლიჩი, ვაგნერ ლავი
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

ბუჩი, კარდონე, ბონერა, პ. კანავარო, კონტინი, პიზანუ, ი. კამარა, სიმპლისიო, სავი, რუოპოლო, გიბსი
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

„სპორტინგთან“ პირველ მატჩში ალკმაარელი დენი ლანძაატის მიერ გატანილ ამ გოლს, ჰოლანდიელთათვის სასურველი ანგარიში მოჰყვა

იტალიელებისგან განსხვავებით, მოსკოველები ამ შეხვედრისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან. რუსულ კლუბს ევროთასის ფინალში გასვლის — ერთადერთი, მოსკოვის „დინამო“ გახლდათ შორეულ 1972 წელს, აწგაუქმებული თასების თასის ფინალში გასული და ისიც „რეინჯერსთან“ დამარცხა 2:3 — ასეთი შანსი რა ხანია, არ ჰქონია და, ბუნებრივია, ამ მატჩს ფაქტობრივად, მთელი ქვეყანა დიდი იმედით ელოდება. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ოთხშაბათს, უკვე თითქმის ყველა ბილეთი გაყიდული იყო.

შეგახსენებთ იმასაც, რომ სპეციალისტთა დიდი ნაწილი და ბუქმეიკერული კანტორები უეფას თასის ფავორიტად სწორედ მოსკოველებს მიიჩნევენ. ცსკა ერთადერთი გუნდია ჩემპიონთა ლიგიდან ჩამოქვეითებულ კლუბებს შორის, რომელიც გათამაშებას შემორჩა. არმიელები იმითაც გამოირჩევიან, რომ თავიანთ ისტორიაში პირველად ისე მიაღწიეს ნახევარფინალს, ერთი მატჩიც არ მოუგიათ სტუმრად.

მოსკოველები, რომლებიც დღეს, საიუბილეო, 50-ე ევრომატჩს გამართავენ, მეტოქეს სრული შემადგენლობით ხვდებიან. „პარმა“ კი სავარაუდოდ კვლავ სათადარიგოებით იქნება, თუმც პიეტრო კარმინიანიმ, პარმელთა მწვრთნელმა ალბერტო ჯილარდინო და დომენიკო მორფეო ამჯერად განაცხადში შეიყვანა. სამაგიეროდ, აპენინელები ნამდვილად ვერ დაიხმარენ ტრავმირებულ სტეფანო ბეტარინის, დამიანო ფერონეტისა და მარკო მარკიონის, ხოლო ფაბიო ვინიაროლი დისკვალიფიცირებულია.

პარმელებმა გასულ უქმეებზე ნამდვილ საფეხბურთო ტრილერში მიიღეს მონაწილეობა — მათ საკუთარ მინდორზე ჯილარდინოს პოკერით 6:4 სძლიეს „ლივორნოს“ და გასავარდნთა სიას დროებით ჩამოშორდნენ. თუმც სერია A-ში დარჩენა გუნდს ჯერ არ გაუნაღდებია და პიეტრო კარმინიანიც სწორედ ამის გამო აპირებს ძალების კვლავ დაზოგვას, რაც მოსკოველთა თავკაც ვალერი გაზაევის გაკვირვებას იწვევს.

„ჩვენთვის, უკლებლივ ყველა მატჩი მნიშვნელოვანია და ნებისმიერ შეხვედრას სრული სერიოზულობით ვუდგებით. მით უმეტეს, თუ საქმე უეფას თასის ნახევარფინალს ეხება. ჩემი აზრით, ფეხბურთისთვის კარგი არ არის, როდესაც ასეთი დონის შეხვედრებში რომელიმე გუნდი სარეზერვო შემადგენლობით თამაშობს. თუმც ახლა მთავარია, მოგებაზე ვიფიქროთ და იმედია, მიზანს მივაღწევთ კიდეც. მიხარია, რომ ივიცა ოლიჩმა ტრავმა მოიშუშა და გუნდს დაუბრუნდა“ — აღნიშნა გაზაევმა.

სტუმართა ლიდერ ალბერტო ჯილარდინოს კი თავისი კლუბის სჯერა: „პირველი მატჩის წინ ბევრიც ითქვა და დაიწერა, უმეტესობა ცსკა-ს ფავორიტადაც მიიჩნევდა, ხოლო საბოლოო ჯამში მოსკოველებმა ჩვენს სარეზერვო გუნდს ვერ სძლიეს. ახალგაზრდებმა ძალიან ღირსეულად ითამაშეს. ვფიქრობ, მე საერთოდ რომ არ ვითამაშო, ჩემს თანაგუნდელებს უჩემოდაც შეუძლიათ რუსების დამარცხება“.

ალკმაარი (ჰოლანდია) – სპორტინგი (პორტუგალია) (1:2)

სავარაუდო შემადგენლობები

ტიმერი, ჯელინსი, ვლაარი, ოპდამი, დე კლერი, ლანძაატი, ვან გალენი, ა. რამზი, სეკტიუ, ნელისე, კ. პერესი
მწვრთნელი: კო ადრიანსე

რიკარდუ, როჟერიუ, ბეტუ სევერუ, ენაკარხირე, რუი ჟორჟე, უგო ვიანა, როჩემბაკი, მუტინიუ, დუალა, ლიდსონი, ბარბოსა
მწვრთნელი: ჟოზე პეშეირო

მსაჯი: ალაუს-ბო ლარსენი (დანია)

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ჰოლანდიელები ევროთასებს 22 წლის შემდეგ დაუბრუნდნენ. ვთქვათ ისიც, რომ ეს შეხვედრა მათთვის მე-40 იქნება. წინა 39 მატჩში „ალკმაარს“ მხოლოდ 7 წაგება აქვს, შინ გამართულ 19 თამაშში კი სულაც არ დამარცხებულა და მხოლოდ 4-ჯერ ვერ შეძლო მოგება.

საკუთარ კედლებში „ალკმაარმა“ ერთადერთხელ, 1978-79 წლების სეზონში „იფსვიჩთან“ ვერ გაიტანა გოლი. აქამდე ჰოლანდიელებს ფინალიც ერთხელ დაუგემოვნებიათ — 1981 წელს და მაშინაც, გადაულახავ ბარიერად „იფსვიჩი“ ექცათ.

მასპინძლების აზრით, მათ პირველ შეხვედრაში სასურველ შედეგს მიაღწიეს და ახლა საერთო გამარჯვების იმედი აქვთ მაგრამ....

მიხაელ ბიუსკერმოლენი და ოლაფ ლინდენბერგი დისკვალიფიცირებულნი არიან, ხოლო ჟორის მატიისენი, იან კრომკამპი და მარტინ მეერდინკი — ტრავმირებულნი. არადა, ხუთივე ზემოთ ხსენებული მოთამაშე თითქმის მთელი სეზონის მანძილზე „ალკმაარის“ ბირთვს წარმოადგენდნენ.

ოპტიმისტურად არიან განწყობილნი პორტუგალიელებიც. „სპორტინგს“ ჰოლანდიურ კლუბებთან გასვლაზე 5-ჯერ უთამაშია და აქედან ოთხში მოუგია. სულ კი მიმდინარე გათამაშებაში ლისაბონელები მხოლოდ ერთხელ, „ნიუკასლთან“ გასვლით შეხვედრაში დამარცხდნენ (0:1).

ჟოზე პეშეიროს თავდასხმაში აქვს განსაკუთრებული პრობლემა — კარლუშ მარტინში ისევ ტრავმირებულია. უქმეებზე დაშავდა პირველ მატჩში გამარჯვების გოლის ავტორი მაურისიო პინილაც, ხოლო ცოტა ხნის წინ მომჯობინებული რუდოლფ დუალა ძირითად შემადგენლობაში იქნება, მაგრამ სათანადო ფორმის აღდგენას ჯერ ვერ ახერხებს. გარდა ამისა, საეჭვოა ჯოზეფ ენაკარხირესა და როჟერიუს მინდორზე გასვლაც.

გიორგი ძაძაბაძე



ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ მზადაა, ნაიჯელ დე იონგის სანაცვლოდ ამსტერდამის „აიაქსს“ 500 ათასი გირვანქა შესთავაზოს. უკვე რამდენიმე მატჩია, „წითელი ეშმაკების“ სკაუტები 26 წლის ნახევარმცველს აკვირდებიან და კმაყოფილებიც არიან მისი თამაშით. თუ კლუბები მოილაპარაკებენ, სავარაუდოდ, თავად ფეხბურთელი „ოლდ ტრეფორდზე“ გადაბარგებაზე უარს არ იტყვის.

იტალიური „რეჯინას“ მცველი ჯუზეპე კოლუჩი „კალიარისთან“ მატჩისას უხეში თამაშისა და მსაჯთან შელაპარაკების გამო ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, „უყურადღებოდ“ არც სარდინიელელთა თავდამსხმელი ანტონიო ლანგელა დარჩენილა. მან ასევე ლაინსმენთან კამათისა და უხეშობისთვის სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

ესპანური „ვალენსია“ როტერდამის „ფეიენოორდის“ ახალგაზრდა ფორვარდ სალომონ კალუს აკვირდება, თუმცა 19 წლის კოტდივუარელს კიდევ არაერთი მსურველი ჰყავს. შეგახსენებთ, რომ ბონავენტურე კალუს უმცროსი ძმა ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება.

იტალიური „პალერმოს“ გამთამაშებელმა ლამბერტო ძაულიმ აღნიშნა, რომ მომავალ ზაფხულს გუნდს დატოვებს. იგი სიცილიელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ველარ თანხმდება და მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება. „ხელფასის შემცირებასაც დავყაბულდი, მაგრამ ხელმძღვანელობა კვლავ უმოქმედოდაა. სამწუხაროა, მაგრამ სავარაუდოდ წასვლა მომიწევს“ — თქვა ძაულიმ.

ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის“ კაპიტანმა მარკ ვან ბომელმა კიდევ ერთხელ განაცხადა, ჯერ არსად გადავსულვარ, მაგრამ ოთხმოცდაერთიმე გრანდის რიგებში ჩარიცხვას მართლაც ვაპირებო. „დიდ კლუბებში გადასვლა მართლაც ძალიან მინდა და იმედი მაქვს, დამდეგ ზაფხულს ასეც მოხდება“ — თქვა 28 წლის ვან ბომელმა, რომელსაც „ბარსელონა“, „მილანი“, „იუვენტუსი“ და „ინტერი“ ეპატიჟებიან.

პორტუგალიის ნაკრებისა და „ლაციოს“ ვეტერანი მცველი ფერნანდუ კოუტუ მიმდინარე სეზონში ველარ ითამაშებს. იგი გასულ უქმეებზე, „ლეჩესთან“ შეხვედრისას დაშავდა და დაახლოებით ერთი თვე მკურნალობა მოუწევს. „უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლას განვაგრძობთ და ძალიან სამწუხაროა, რომ გადამწყვეტ მატჩებში ფერნანდუ ველარ დაგვეხმარება, მაგრამ იმედია, მიზანს უმისოდაც მივაღწევთ“ — თქვა რომაელთა მწვრთნელმა ჯუზეპე პაპადოპულომ.

იტალიური „ბოლონიას“ პერსპექტიულმა ნახევარმცველმა ტერრად მეგნიმ „მარსელში“ გადასვლის სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ „ახალ ზიდანად“ წოდებულ ფრანგს არაერთი მსურველი ჰყავს, მათ შორის „იუვენტუსი“ და „რეალი“. „მარსელი“ ჩემით წინა ზაფხულსაც იყო დაინტერესებული. თუ ისინი კვლავ გამოთქვამენ ჩემი შეძენის სურვილს, სიამოვნებით დავთანხმდები“ — თქვა 21 წლის მეგნიმ.

ესპანური „მალაგას“ მეკარე ხუან კალატაიუდს რამდენიმე კლუბმა დაადგა თვალი, მათ შორის გერმანულმა „შტუტგარტმა“. ვიცი, რომ ჩემით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. ყველაფერი „მალაგაზეა“ დამოკიდებული. პირადად მე, აქ ბედნიერი ვარ, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომაც არ მინდა“ — გულახდილად განაცხადა მეკარემ.

ლიტვის მოქმედი ჩემპიონი „კაუნასი“ მთავარი მწვრთნელის ძიებაშია. 38 წლს ვალდას ივანაუსკასს სეზონის ცუდი დასაწყისი არ აპატიეს და პოსტიდან დაითხოვეს. მის ადგილს დროებით ევგენი რიაბოვი დაიკავებს.

იტალიური „სიენას“ ლიდერმა როდრიგო ტადეიმ აღნიშნა, რომ ზაფხულამდე გადაწყვეტილებას არ მიიღებს და შესაძლოა, საერთოდაც არ დატოვოს კლუბი: „ვიცი, რომ რამდენიმე გრანდი მაკვირდება და ეს ძალიან მსიამოვნებს. თუმცა, ბრაზილიიდან იტალიაში იმიტომ ჩამოვედი, რომ რომელიმე პრესტიჟულ გუნდში მეთამაშა. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მინდა. ამიტომ, სანამ სადმე გადასვლას გადავწყვეტ, კარგად უნდა დავფიქრდე“.

გერმანულმა „ბაიერნმა“ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე უკვე მოასწრო ერთ ფეხბურთელთან შეთანხმება — მიუნხენელებმა „ალ აჰლის“ ირანელი ნახევარმცველი ალი ქარიმი დაიმატეს. 26 წლის ფეხბურთელი თავის ახალ კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. აღსანიშნავია, რომ ალი ქარიმი დღეს საუკეთესო აზიელ ფეხბურთელია.

ფრანგმა ნახევარმცველმა ოლივიე დაკურმა საბოლოოდ გადაწყვიტა „რომას“ დატოვება, ამგვარ ინფორმაციას კი იტალიური ჟურნალ-გაზეთები ავრცელებენ. მოგეხსენებათ, 30 წლის დაკური დედაქალაქელებთან ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ თანხმდება და ინგლისში დაბრუნებაზე ფიქრობს. პრემიერლიგის და სერია A-ს გუნდების გარდა, მას კატალონიური „ბარსელონაც“ უტრიალებს.

ესპანური „რეალი“ ხოსე ანტონიო რეიესს არ ეშვება და „არსენალთან“ მოლაპარაკებას აგრძელებს. „მეთოფეებმა“ კი საჯაროდ განაცხადეს, 21 წლის თავდასხმელის მსურველებს 10 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევთო. შეგახსენებთ, რომ სამეფო კლუბში“ გადასვლა თავად რეიესსაც ძალიან სურს.

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		7 მაისი						
15:30	4	ჩელსი-ჩარლტონი	1.3	4.6	9.0	1.01	1.13	3.04
18:00	6	კრ. პალასი-საუთჰემპტონი	2.2	3.2	3.1	1.3	1.28	1.57
18:00	7	ევერტონი-ნიუკასლი	1.75	3.4	4.3	1.15	1.24	1.89
18:00	8	მიდლსბრო-ტოტენჰემი	2.2	3.2	3.1	1.3	1.28	1.57
18:00	9	ნორვიჩი-ბირმინგემი	1.85	3.4	3.8	1.19	1.24	1.79
18:00	10	პორტსმუთი-ბოლტონი	2.75	3.3	2.35	1.5	1.26	1.37
18:00	11	ასტონ ვილა-სიტი	2.25	3.3	2.9	1.33	1.26	1.54
18:00	12	ბლექბერნი-ფულჰემი	2.0	3.3	3.5	1.24	1.27	1.69
20:15	13	მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი	1.3	4.6	9.0	1.01	1.13	3.04
		8 მაისი						
19:05	15	არსენალი-ლივერპული	1.75	3.5	4.2	1.16	1.23	1.9
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		8 მაისი						
16:00	16	ლიდსი-როტერჰემი	1.5	3.5	6.0	1.04	1.2	2.21
16:00	17	ბრაიტონი-იფსვიჩი	3.6	3.3	1.85	1.72	1.22	1.18
16:00	18	კარდიფი-ქარ	2.15	3.2	3.0	1.28	1.25	1.54
16:00	19	ქრიუ-ქოვენთრი	1.85	3.5	3.5	1.21	1.21	1.75
16:00	20	დერბი-პრესტონი	2.0	2.8	3.8	1.16	1.31	1.61
16:00	21	მიდლოლი-ბარნლი	1.8	3.3	4.1	1.16	1.25	1.82
16:00	22	ნოტინგემი-უიმბლდონი	3.0	3.6	2.05	1.63	1.21	1.3
16:00	23	პლიმუთი-ლესტერი	2.25	3.2	2.95	1.32	1.27	1.53
16:00	24	სანდერლენდი-სტოკი	1.45	3.7	6.5	1.04	1.18	2.35
16:00	25	ნოტფორდი-ვესტ ჰემი	4.1	3.5	1.75	1.88	1.22	1.16
16:00	26	ეიგანი-რეადინგი	1.65	3.7	4.3	1.14	1.19	1.98
16:00	27	ვულვერჰემპტონი-შეფილდი	2.05	3.3	3.2	1.26	1.24	1.62
		ინგლისი. I ლიგა						
		7 მაისი						
18:00	29	ბლეკპული-ბარნსლი	2.05	3.3	3.2	1.26	1.24	1.62
18:00	30	ბორნმუთი-ჰარტლპული	2.05	3.1	3.3	1.23	1.26	1.59
18:00	31	ბრენტფორდი-ჰალი	2.3	3.0	2.75	1.3	1.25	1.43
18:00	32	კოლჩესტერი-ტორკი	2.45	3.1	2.7	1.36	1.28	1.44
18:00	33	დონკასტერი-ლუტონი	2.75	3.3	2.3	1.49	1.25	1.35
18:00	34	ოლდჰემი-ბრეინტფორდი	1.75	3.5	3.8	1.16	1.19	1.82
18:00	35	პორტ ვეილი-პიტერბრო	1.7	3.4	4.3	1.13	1.21	1.89
18:00	36	უენსდი-ბრისტოლი	2.15	3.2	2.85	1.28	1.22	1.5
18:00	37	სუინდონი-ჩესტერფილდი	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
18:00	38	ფოლხოლი-სტოკპორტი	1.5	3.5	5.9	1.04	1.19	2.19
18:00	39	რექსემი-ჰადერსფილდი	2.35	3.4	2.55	1.38	1.22	1.45
18:00	40	დონსი-ტრანმერი	1.95	3.5	3.1	1.25	1.19	1.64
		ინგლისი. II ლიგა						
		7 მაისი						
18:00	41	იოვილი-ლინკოლნი	1.5	3.4	6.0	1.04	1.2	2.17
18:00	42	ბოსტონი-როსდეილი	2.2	3.3	2.85	1.32	1.24	1.52
18:00	43	რიუერსი-უიკომბი	2.2	3.1	2.9	1.28	1.25	1.49
18:00	44	ბერი-სუინსი	3.7	3.5	1.8	1.79	1.21	1.18
18:00	45	კემბრიჯი-ნორსი	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51
18:00	46	ფარლინგტონი-ხელტენჰემი	1.4	3.8	7.0	1.02	1.16	2.46
18:00	47	გრიმსბი-საუთენდი	4.0	3.6	1.7	1.89	1.19	1.15
18:00	48	ლეიტონი-მენსფილდი	1.95	3.3	3.3	1.22	1.22	1.64
18:00	49	მანსფილდი-რაჩდეი	1.4	3.8	7.0	1.02	1.16	2.46
18:00	50	ნორთჰემპტონი-კიდერმინსტერი	1.25	5.0	8.5	1.0	1.08	3.14
18:00	51	ოქსფორდი-ჩესტერი	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83
18:00	52	შრიუსბერი-სკანთორპი	3.7	3.4	1.8	1.77	1.21	1.17
		ინგლისი. კონფერენსი						
		6 მაისი						
22:45	55	კარლაილი-ალდერშოტი	1.8	3.3	3.6	1.16	1.2	1.72
22:45	56	ჰერეფორდი-სტივენეიჯი	1.85	3.3	3.6	1.18	1.22	1.72
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		7 მაისი						
18:00	59	დანდი-კილმარნოკი	1.95	3.2	3.3	1.21	1.22	1.62
18:00	60	დანფერმლაინი-ალბანი	2.1	3.3	2.9	1.28	1.21	1.54
18:00	61	ინვერნესი-ლივინგსტონი	2.0	3.3	3.1	1.24	1.21	1.59
18:00	62	მოთერუელი-ქიბერნიანი	2.7	3.2	2.25	1.46	1.22	1.32
18:00	63	რეინჯერსი-ჰარტისი	1.2	5.5	9.0	1.0	1.05	3.41
		8 მაისი						
18:00	57	სელტიკი-აბერდინი	1.2	5.5	9.0	1.0	1.05	3.41
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		7 მაისი						
18:00	65	ფოლკირკი-ქაინი	1.6	3.5	4.5	1.09	1.18	1.96
18:00	66	პარტიკი-ჰამილტონი	2.35	3.4	2.45	1.38	1.19	1.42
18:00	67	რეითი-ერკირი	2.8	3.5	2.1	1.55	1.2	1.31
18:00	68	როსი-კლაიდი	2.45	3.3	2.4	1.4	1.21	1.38
18:00	69	სტ.ჯონსტონი-სტ.მირენი	2.6	3.3	2.25	1.45	1.2	1.33
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		7 მაისი						
18:00	70	ალოა-სტრანრაერი	2.5	3.4	2.3	1.44	1.19	1.37
18:00	71	არბროთი-სტირლინგი	2.5	3.3	2.35	1.42	1.21	1.37
18:00	72	ეარი-დამბარტონი	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51
18:00	73	ბრეჩინი-ფორფარი	1.55	3.5	5.0	1.07	1.18	2.05
18:00	74	მორტონი-ბერიკი	1.5	4.0	5.0	1.09	1.15	2.22
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		7 მაისი						
18:00	75	ალბიონი-ვრეტნა	8.0	5.0	1.25	3.07	1.08	1.0
18:00	76	კოუდენბითი-ქუინს პარკი	2.15	3.5	2.6	1.33	1.17	1.49
18:00	77	ისტ სტირლინგი-პიტერჰედი	5.5	4.2	1.4	2.38	1.11	1.04
18:00	78	ელგინი-სტენჰაუსმური	2.25	3.5	2.55	1.36	1.19	1.47
18:00	79	მონტროუზი-ისტ ფაიფი	1.8	3.6	3.4	1.2	1.17	1.74
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		7 მაისი						
17:30	80	არმინია-შალკე	4.2	3.5	1.75	1.9	1.23	1.16
17:30	82	ფრაიბურგი-ლაუტერნი	2.8	3.3	2.25	1.51	1.24	1.33
17:30	84	ჰერტა-ვოლფსბურგი	1.5	3.8	6.0	1.07	1.2	2.32
17:30	85	ლევერკუზენი-პანსა	1.45	4.4	5.5	1.09	1.14	2.44
17:30	87	მაინცი-ბაიერნი	3.3	3.4	2.0	1.67	1.24	1.25
17:30	89	ნიურნბერგი-ბოხუმი	2.1	3.3	3.2	1.28	1.26	1.62
17:30	90	შტუტგარტი-ჰანოვერი	1.3	4.6	8.5	1.01	1.12	2.98
		8 მაისი						
19:30	92	ჰამბურგი-მიონხენგლადბახი	1.6	3.5	5.5	1.09	1.23	2.13
19:30	93	დორტმუნდი-ვერდერი	2.35	3.3	2.75	1.37	1.26	1.5
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		6 მაისი						
21:00	95	კარლსრუე-ერფურტი	1.9	3.2	3.5	1.19	1.23	1.67
21:00	96	კოლონი-ტრიერი	1.55	3.6	5.0	1.08	1.18	2.09
21:00	97	დინამო-აუე	2.05	3.3	3.0	1.26	1.21	1.57
		8 მაისი						
17:00	98	მიუნხენი 1860-ალემანია	2.0	3.4	2.95	1.25	1.19	1.57
17:00	99	ობერჰაუზენი-ალენი	2.1	3.4	2.9	1.29	1.21	1.56
17:00	100	ეხენი-ფიურტი	2.1	3.4	2.9	1.29	1.21	1.56
17:00	101	ხაარბრიუკენი-უნტერჰაჩინგი	2.0	3.1	3.45	1.21	1.26	1.63
17:00	102	ბურგჰაუზენი-კოტბუსი	2.05	3.3	3.0	1.26	1.21	1.57
		9 მაისი						
22:15	103	აინტრახტი-დუისბურგი	1.9	3.2	3.65	1.19	1.24	1.7
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		5 მაისი						
17:30	130	აუსტრია-ვრაცერი	1.85	3.2	3.9	1.17	1.25	1.75
		შვეიცარია. ჩემპიონატი						
		5 მაისი						
18:00	161	ბოლმი-ლუცერნი	2.25	3.2	2.65	1.32	1.21	1.44
		იტალია. სერია A						
		8 მაისი						
17:00	171	ატალანტა-მესინა	1.65	3.5	4.6	1.12	1.21	1.98
17:00	172	ბრეშა-ინტერი	2.9	3.1	2.35	1.49	1.29	1.33
17:00	174	კალიარი-პალერმო	3.1	1.7	5.2	1.09	1.94	1.28
17:00	175	კიევო-ფიორენტინა	2.35	2.8	3.15	1.27	1.34	1.48
17:00	176	ლაციო-უდინეზე	2.8	2.5	2.85	1.32	1.41	1.33
17:00	177	ლივორნო-სიენა	3.1	1.9	3.6	1.17	1.66	1.24
17:00	178	მილანი-იუვენტუსი	2.1	2.8	3.8	1.2	1.35	1.61
17:00	179	პარმა-რომა	2.25	2.7	3.55	1.22	1.37	1.53
17:00	180	რეჯინა-ბოლონია	3.1	1.4	6.8	1.0	2.12	1.16
17:00	181	სამპდორია-ლეჩე	1.5	3.6	6.0	1.05	1.2	2.25
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		7 მაისი						
23:45	214	ბეტისი-სევილია	2.4	3.4	2.6	1.4	1.24	1.47
20:00	220	ოსასუნა-მალიორკა	2.25	3.4	2.8	1.35	1.24	1.53
22:00	221	რეალი-რასინგი	1.2	5.6	11.0	1.0	1.08	3.71
		8 მაისი						
19:00	212	ალბასეტე-ლევანტე	2.4	3.4	2.6	1.4	1.24	1.47
19:00	213	ბილბაო-სარაგოსა	1.95	3.2	3.8	1.21	1.28	1.73

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	215	ესპანიოლი-ნუმანსია	1.35	4.3	8.0	1.02	1.15	2.79
19:00	217	ხეტაფე-სოსიედადი	2.2	3.0	3.3	1.26	1.32	1.57
23:00	218	დეპორტივო-ატლეტიკო	2.05	3.2	3.4	1.24	1.27	1.64
19:00	219	მალაგა-ვილიარეალი	3.0	3.2	2.25	1.54	1.28	1.32
21:00	223	ვალენსია-ბარსელონა	2.9	3.2	2.3	1.52	1.28	1.33
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		6 მაისი						
22:30	243	ბორდო-ოსერი	2.35	2.9	3.1	1.29	1.33	1.49
		7 მაისი						
19:15	235	მარსელი-კანი	1.45	3.8	7.0	1.04	1.2	2.46
22:00	237	მეცი-ლანსი	2.0	3.0	3.6	1.2	1.28	1.63
22:00	238	ნიცა-ნანტი	2.25	2.8	3.5	1.24	1.36	1.55
22:00	239	რენი-მონაკო	2.35	2.8	3.2	1.27	1.35	1.49
22:00	240	სოშო-სტრასბური	2.0	3.0	3.7	1.2	1.29	1.65
22:00	241	ტულუზა-სტ.ეტიენი	2.05	2.9	3.9	1.2	1.34	1.66
22:00	242	ბასტია-ისტრი	1.45	3.7	7.0	1.04	1.2	2.42
22:00	244	ლილი-პსჟ	1.9	3.1	3.9	1.17	1.27	1.72
		8 მაისი						
23:00	245	ლიონი-აიაჩო	1.5	3.7	6.0	1.06	1.2	2.28
		ბელგია. I დივიზიონი						
		6 მაისი						
22:30	257	მონსი-ბრიუგე	5.5	4.4	1.4	2.44	1.11	1.06
		7 მაისი						
22:00	259	ანდერლეხტი-ბეერსხოტი	1.2	5.5	10.0	1.0	1.07	3.54
22:00	261	შარლერუა-ბრიუსელი	1.5	4.0	5.0	1.09	1.15	2.22
22:00	262	სერკლი-მუსკრონი	2.25	3.5	2.7	1.36	1.22	1.52
22:00	263	გენტი-ლუვენი	1.65	3.5	4.5	1.12	1.2	1.96
22:00	264	ლიერსი-გენკი	4.0	3.5	1.7	1.86	1.19	1.14
22:00	265	ბევერენი-სტანდარდი	5.0	3.6	1.55	2.09	1.18	1.08
		8 მაისი						
17:00	266	სტ.ტრუიდენი-ვესტერლო	1.7	3.4	4.3	1.13	1.21	1.89
17:00	267	ოსტენდე-ლოკერენი	1.8	3.5	3.7	1.18	1.21	1.79
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		6 მაისი						
22:00	277	ბრედა-როსენდალი	1.7	3.4	4.5	1.13	1.23	1.93
		7 მაისი						
21:30	278	დენ ბოსხი-ტვენტე	3.8	3.5	1.8	1.82	1.22	1.18
21:30	279	ჰერენვენი-ტილბურგი	1.45	3.8	6.5	1.04	1.18	2.39
21:30	284	აიაქსი-ვალვაიკი	1.2	5.5	10.0	1.0	1.07	3.54
		8 მაისი						
14:30	280	ნაიმეგენი-ფეიენოორდი	3.5	3.4	1.9	1.72	1.23	1.21
16:30	281	უტრეხტი-ვიტესი	2.3	3.5	2.6	1.38	1.22	1.49
16:30	282	პსვ-გრააფსხაპი	1.15	6.0	13.0	1.0	1.05	4.1
16:30	286	გრონინგენი-როდა	2.2	3.4	2.75	1.33	1.22	1.52
16:30	287	დენ ჰააგი-ალკმაარი	3.2	3.3	2.0	1.62	1.23	1.24
		პორტუგალია სუპერლიგა						
		6 მაისი						
23:45	300	ბელენენსეში-ნასიონალი	1.8	3.2	4.3	1.15	1.26	1.83
		7 მაისი						
22:15	301	ბოავიშტა-ბრაგა	2.2	3.2	3.0	1.3	1.26	1.54
23:45	305	პენაფიელი-ბენფიკა	5.0	4.2	1.5	2.28	1.15	1.1
		8 მაისი						
19:00	299	ბეირა მარი-აკადემიკა	2.4	3.0	2.85	1.33	1.3	1.46
19:00	302	ლეირია-ხეტუბალი	2.0	3.2	3.4	1.23	1.25	1.64
23:15	303	მორეირენსე-პორტუ	6.2	3.9	1.45	2.39	1.17	1.05
19:00	307	რიუ ავე-მარიტიმუ	1.9	3.2	3.8	1.19	1.26	1.73
		9 მაისი						
23:30	308	სპორტინგი-გიმარაეში	1.4	4.0	6.5	1.03	1.15	2.47
		რუსეთი						
		5 მაისი						
15:00	341	ზენიტი-ტორპედო	1.8	3.1	4.4	1.13	1.27	1.81

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჩეხეთი						
		5 მაისი						
21:00	356	ბრნო-სლავია	2.8	3.0	2.25	1.44	1.24	1.28
		7 მაისი						
19:00	357	ოპავა-ბლშანი	2.1	3.0	3.1	1.23	1.25	1.52
19:00	359	სლოვაცკო-ლიბერეცი	2.3	2.9	3.0	1.28	1.3	1.47
16:25	364	ბოლესლავი-სპარტა	3.5	3.1	1.95	1.64	1.25	1.19
		8 მაისი						
19:00	360	ტეპლიცე-პრშიბრამი	1.5	3.7	5.6	1.06	1.18	2.22
19:00	361	დრნოვიცე-ზლინი	2.15	3.0	3.1	1.25	1.26	1.52
19:00	363	იაბლონეცი-სიგმა	2.4	3.0	2.7	1.33	1.27	1.42
		9 მაისი						
21:00	358	სლავია-ბუდეიოვიცე	1.4	3.7	6.7	1.01	1.15	2.38
18:40	362	ბრნო-ბანიკი	2.4	3.0	2.6	1.33	1.24	1.39
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		5 მაისი						
20:00	407	ჰამარი-ფრედრიკსტადი	2.0	3.4	3.3	1.25	1.24	1.67
20:00	408	მოლდე-ტრომსიო	2.3	3.3	2.7	1.35	1.24	1.48
20:00	409	ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი	2.15	3.3	3.0	1.3	1.25	1.57
20:00	410	რუსენბორგი-სტარტი	1.45	4.2	6.0	1.07	1.16	2.47
20:00	411	ვოლერენგა-ალესუნდი	1.35	5.0	6.5	1.06	1.11	2.82
20:00	412	ვიკინგი-ლინი	1.95	3.3	3.6	1.22	1.26	1.72
22:05	413	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1.55	3.8	5.0	1.1	1.18	2.15
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		5 მაისი						
20:00	421	ფოლო-ალტა	1.85	4.0	3.3	1.26	1.18	1.8
20:00	422	ჰიოდი-ლოვ ჰამი	1.7	4.0	3.8	1.19	1.17	1.94
20:00	423	კონგსვინგერი-სკეიდი	1.7	4.0	3.8	1.19	1.17	1.94
20:00	424	მანდალი-სანდეფიორდი	2.35	3.9	2.4	1.46	1.18	1.48
20:00	425	მოსი-სტაბეკი	2.85	4.0	2.0	1.66	1.17	1.33
20:00	426	ხოვნდალი-ჰორის გრენლანდი	1.45	4.5	5.5	1.09	1.14	2.47
20:00	427	სტრიომსგოდსეტი-ჰიონეფოსი	1.9	4.0	3.0	1.28	1.16	1.71
20:00	428	ტონსბერგი-ბრინი	2.9	4.0	2.0	1.68	1.18	1.33
		ფინეთი						
		5 მაისი						
17:00	458	ჰელსინკი-მარიეჰამნი	1.55	3.5	5.5	1.07	1.2	2.13
20:00	459	ალიანსი-როვანიემი	1.4	3.6	7.3	1.0	1.17	2.41
20:00	460	კტპ-ტპ 47	1.8	3.4	4.0	1.17	1.24	1.83
20:00	461	კუოპიო-იარო	1.9	3.2	3.8	1.19	1.26	1.73
20:00	462	მიუპა-ინტერი	1.5	3.7	5.2	1.06	1.16	2.16
20:00	463	ტამპერე-ლაჰტი	1.95	3.3	3.2	1.22	1.21	1.62
20:00	464	ტურკუ-ჰაკა	3.3	3.3	2.0	1.64	1.24	1.24
		უეფას თასი						
		5 მაისი						
20:45	536	ცსკა-პარმა	1.5	3.7	6.5	1.06	1.21	2.35
23:00	537	ალკმაარი-სპორტინგი	2.25	3.3	2.9	1.33	1.26	1.54
		დანია. თასი						
		5 მაისი						
17:00	539	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83
		შვედეთი. თასი						
		5 მაისი						
15:30	541	ჰალმსტადი-ბოდენსი	1.1	6.5	14.0	1.0	1.01	4.43
21:00	542	კალმარი-ჰამარბი	2.25	3.3	2.7	1.33	1.22	1.48
16:30	544	ტრელებორგი-აიკ	2.3	3.2	2.8	1.33	1.26	1.49
19:00	545	ვესბი-იურგორდენი	7.0	4.5	1.3	2.73	1.09	1.0
18:00	546	იოსტერსი-ჰეკენი	3.1	3.2	2.05	1.57	1.23	1.24
		ლიბერტადორესის თასი						
		5 მაისი						
23:45	555	ჩივასი-კობრელოა	1.5	3.6	5.5	1.05	1.17	2.17
23:45	556	სან ლორენსო-ონსე კალდასი	3.3	3.4	1.9	1.67	1.2	1.21

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, [illegible])

14536	ცსკა-პარმა	1.3	2.9
14537	ალკმაარი-სპორტინგი	1.6	2.3

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13536	ცსკა-პარმა	1.7	1.9
13537	ალკმაარი-სპორტინგი	1.7	1.9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12536	ცსკა-პარმა	1.6	2.0
12537	ალკმაარი-სპორტინგი	1.7	1.9

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15536	ცსკა-პარმა	3.0	2.8	2.0
15537	ალკმაარი-სპორტინგი	3.0	2.8	2.0

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18536	ცსკა-პარმა	1.3	3.0
18537	ალკმაარი-სპორტინგი	2.6	1.4

ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

16536	ცსკა-პარმა	1.15	3.5
16537	ალკმაარი-სპორტინგი	1.4	2.3

ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

		ლუწი	კენტი
17536	ცსკა-პარმა	1.85	1.95
17537	ალკმაარი-სპორტინგი	1.85	1.95

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10536	ცსკა-პარმა	1.8	2.1	5.5	1.0	1.35	1.51
10537	ალკმაარი-სპორტინგი	2.7	2.2	2.9	1.21	1.39	1.25

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11536	ცსკა-პარმა	1.9	15.0	30.0	3.5	5.0	11.0	20.0	11.0	11.0
11537	ალკმაარი-სპორტინგი	3.2	10.0	20.0	4.2	4.4	5.6	20.0	10.0	5.0

ბაფრი კვირელაძის ფოტო

ნუგზარ კანდელაკი საჩემპიონო აბურთავებასთან ბაქოშიც ახლოსაა

ნუგზარ კანდელაკის ბალა წარმოდგენა

წარმოგიდგენთ ინტერვიუს აზერბაიჯანული „გიარბ უნივერსიტეტის“ თავკაცი ნუგზარ კანდელაკთან, რომელმაც მორიგი სამწვრთნელო დუელი მოუგო ცნობილ რიმას კურნტინაიტისს. ბაქოელმა სტუდენტებმა ქვეყნის უძლიერესი გუნდი, ძირითადად „ლიტველ-ამერიკული ლიგეონერებით დაკომპლექტებული“ გალა“ 26 ქულით დაამარცხეს და ფინალურ სერიაში ანგარიში 1:1 გაათანაბრეს.

— „გალა“ ამას წინათაც დამარცხეთ და მაშინ რიმას კურტინაიტისმა თქვა, თვითრწენამ და ზედმეტმა თავდაჯერებულობამ წაგვაგებინა. ამის შემდეგ „გალა“ 5 ქულით, დამბულ ბრძოლაში გამარცხეთ და მერე 26 ქულით თავად ნადგურდება...

— ეს იყო ჩემი გუნდის საუკეთესო თამაში იყო ამ სეზონში. როცა კარგად მიგელის საქმე, თვით „გალაც“ უძლურია. როცა მოთამაშეები მწვრთნელის დავალებას ზუსტად ასრულებენ, უძლეველი არაჯანია.

— მაინც რა იყო ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების მიზეზი?

— ჩვენი გამარჯვება მრავალი ფაქტორის თანხვედრამ განაპირობა. პირველ რიგში წმინდა ფსიქოლოგიური მომენტი იყო, „გალა“ ასე ითლად რომ დავამარცხეთ. რიმას კურტინაიტისმა ახლახან ისლამური ქვეყნების ოლიმპიადაზე აზერბაიჯანის ნაკრებს გაამარჯვებინა და ამან მათზე უარყოფითად იმოქმედა. თან „გალა“ სერიაში წინ იყო და შედარებით ნაკლები მოტივაცია ჰქონდა.

— ეგ მართალია, მაგრამ უშუალოდ მოედანზე რაში ატარებთ მეტოქეს?

— ამ თამაშმა გამოაჩინა, რომ ჩემი გუნდი „გალაზე“ არანაკლებ მომზადებულია ფიზიკურად. გიმლეობით აშკარად დავუბნეთ მეტოქე. მესამე მეოთხედში გალელები არაქთგაცლილები იყვნენ და სწრაფი შეტევებით მეტოქეს ბოლოც მოვუღეთ.

— კი მაგრამ, „გალაში“ საკმაოდ ცნობილი კალათბურთელები თამაშობენ, ვიდრე თქვენს გუნდში...

— სწორად შერჩეულმა ტაქტიკამ მეტოქის ეს უპირატესობა გაბითილა. ამ თამაშს ვერ მოვიგებდით, „გალას“ ლიდერები და განსაკუთრებით დარიუს ლუკმინასი რომ არ შეგვჩერებინა. მან საბოლოოდ 21 ქულა მაინც ჩაგვიგდო, მაგრამ როცა საჭირო იყო, თავისი გუნდისთვის სწორედ მაშინ აღმოჩნდა უსარგებლო. ჯოლიეტ ტუჯანის დიდი წვლილი მიუძღვის, დაცვაში კარგად რომ ვითამაშეთ და საერთოდ, ამ მატჩში თავი ბასკეტლებმა გამოიჩინეს. ზაურ პაპავეიც დიდად დაგვეხმარა. მესამე მეოთხედში შევუშვი ის მოედანზე და ირაკლი ბერიშვილთან ერთად მეტოქე კონტრშეტევებით აიკლო.

— ეგ ორივე გამთამაშებელია. ანუ თქვენ, ასე ვთქვათ, ავანტიურულ ტაქტიკასაც არ ერიდებოდით...

— რა თქმა უნდა, ექსპერიმენტებს მიემართავდი და საკმაოდ ხშირადაც. თამაში სრულიად განსხვავებული შემადგენლობით დავიწყეთ, ვიდრე ფინალური სერიის პირველ მატჩში. მოედანზე სამი ტანმაღალი შევუშვი — დავით იმნაძე, ჯოლიეტ ტუჯანი და დავით იმნაძე, მეტოქეს კი ჩვეულად 2 ტანმაღალი მოთამაშე ჰყავდა და ჩვენი ერთი მეფარე, ფაქტობრივად ცარიელი იყო, გაცილებით დაბალი მეურვე ჰყავდა.

— მერე უკანა ხაზში არ დაიჩაგრეთ?

— არა, რატომ, იმნაძეც და ტუჯანიც სწრაფები არიან და დაცვაში ჩასვლას დროულად ასწრებდნენ და „გალა“ სწრაფ კონტრშეტევებს ვერარ ახორციელებდა.

— რა რეზონანსი მოჰყვა ამ ამბავს?

— ძალიან დიდი ამბავია აქ ატეხილი. „გალას“ არათუ ასეთ მარცხს, ერთი ქულით წაგებასაც არავინ ელოდა. პირველად რომ მოვუგეთ, ის შემთხვევითობას დაბრალდა, მაგრამ ახლა გამართლებაზე ველარავინ ილაპარაკებს. კურტინაიტისს ასე უიმედოდ წლევანდელ ევროტურნირშიც არ წაუგია, როცა ლიტვის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „შაულიაის“ შეხვდა. ერთი სიტყვით, კურტინაიტისი ძალიან შეფიქრიანებულია.

— ჩემპიონობის დაკარგვის ხომ არ ეშინია?

— რა თქმა უნდა. მას აქ ისედაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და ოლიმპიადაც რომ მოიგო აზერბაიჯანის ნაკრებთან ერთად, სულ მთლად ზენიტშია. ახლა აზერბაიჯანის ჩემპიონობა რომ გამოეცალოს ხელიდან, ალბათ ტრაგედია იქნება.

— რამდენად რეალურია თქვენი საჩემპიონო შანსები?

— ახლა ჩვენი მთავარი კონკურენტი ჩვენივე თავია. აქამდე გამარჯვების რწმენა აკლდათ ბიჭებს, ახლა კი ეშიშობ, საპირისპირო არ მოხდეს და გარდაუვალ გამარჯვებაში არ დარწმუნდნენ ჩემიანები. ხვალ ფინალური სერიის მორიგი მატჩია და მასში გამარჯვებულს სერიოზული უპირატესობა მიენიჭება. თუმც, ისევე როგორც შარშან საქართველოს ჩემპიონატის ფინალში, ახლაც შემიძლია ვთქვა, რომ მორალური ჩემპიონები უკვე გავხდით. მით უფრო, რომ ამ „გალას“ უფრო დიდი უპირატესობა აქვს ჩემს ახლანდელ გუნდთან, ვიდრე შარშან „დინამოს“ ჰქონდა, როცა ჩემმა გაწვრთნილმა „ბასკომ“ დაამარცხა.

* * *

წუხელ დასრულდა ფინალური სერიის მესამე მატჩი, რომელიც კანდელაკის გუნდმა დრამატულ ბრძოლაში მოიგო და სერიაში 2:3 დაწინაურდა. სერია ოთხ მოგებამდეა.

ირაკლი პერტაია

საქართველოს ჩემპიონატი



ნუგზარ ჭეიშვილი



ზურაბ ტომარაძე



ლევან მოსეშვილი



მამუკა ტურაშვილი

ზურაბ დოლიძისა და ვალერიანის ფოტოები

საჩემპიონო კვარტეტი

დღეიდან ვერის ბაღი მხურვალე თამაშებს უმასპინძლებს. ეგებ ყველა მატჩი დაძაბული და მოთუხთუხე არ გამოდგეს, მაგრამ ნახევარფინალებია და თავისი წილი ინტრიგა მოწინავე გუნდების შეხლას წუთითაც არ მოაკლდება. ერთ წყვილში რეგულარულის მომგები „ავიამშენი“ მეოთხეზე გასულ თსუ-ს შეხვდება, ხოლო მეორე ნახევარფინალში ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი „დინამოს“ შეერკინება. ოთხივე გუნდმა მშრალად, 2:0 მოიგო მეოთხედფინალური სერიები, თუმც ისიც სათქმელია, რომ „დინამოს“, „ავიამშენსა“ და სტუ-ს არ ჰყავდათ ისეთი სოლიდური მეტოქეები, საპლეიოფო სერიას რომ ეკადრება.

ასეა თუ ისე, პლეი ოფი სუსტი გუნდებისგან გაიცხრილა და ახლა მოსაწყენად არავის ეცლება. გუშინ ოთხივე გუნდის თავკაცები კაფე „მსოფლიო სპორტში„ შეიკრიბნენ და კარსმომდგარ მატჩებზე ისაუბრეს...

თავდაპირველად „ავიამშენი“ — თსუ-ს მატჩის მონაწილეებმა გამოხატეს თავიანთი შეხედულებები.

ლევან მოსეშვილი „ავიატორთა“ მწვრთნელი:

„თსუ-სთან რეგულარული ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა წავაგეთ, რისი მიზეზიც მეტოქის შეუფასებლობა და საკუთარ ძალებში ზედმეტად თვითდაჯერება იყო. თუმც როგორც საბოლოოდ გამოჩნდა, ამ მარცხმა მხოლოდ კარგი საქმე გაგვიკეთა. ჩემი გუნდი გამოუხიზლდა, უფრო შეიკრა და სრული მობილიზებით ჩაატარა დარჩენილი მატჩები. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ რეგულარული ჩემპიონატი მოვიგეთ და პლეი ოფს გაცილებით კარგ ხასიათზე შევხვდით. რაც შეეხება თსუ-სთან ნახევარფინალურ დაპირისპირებას, ვერ ვიტყვი, რომ იოლი გასეირნება გველის. ჩვენი მეტოქე საკმაოდ ახალგაზრდა და პერსპექტიული გუნდია, რომელსაც შეუძლია, ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწიოს“.

„ავიამშენი“ ისედაც ფავორიტია და მის შანსებს ისიც ზრდის, რომ ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩს თსუ-ს გამთამაშებელი, ამ სეზონის 63-ქულიანი რეკორდის მფლობელი გიორგი მარხვაშვილი დაკლდება. „მარხვა“ მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩში რუსთაველ გიორგი გოგსაძესთან ჩხუბისთვის 200 დოლარითა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დააჯარიმეს.

მამუკა ტურაშვილი, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი:

„თუჯთან“ უფრო მძაფრ დაპირისპირებას ველოდი, თუმც შედარებით იოლად ვიმარჯვეთ და ეს ნახევარფინალის წინ კარგ განწყობას გვიქმნის. ფავორიტი, რა თქმა უნდა, „ავიამშენია“. ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს და გამოცდილ მეტოქესთან ბრძოლა შედარებით გაგვიძნელდება. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ უშანსოდ ვართ. შანსი საკმარისად გვაქვს და მის გამოყენებას ვეცდებით“.

შემდეგ ვერი „დინამო“ — სტუ-ს დაპირისპირებაზე, უფრო სწორედ, ამ გუნდების მწვრთნელებზე მიდგა...

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, სტუ-ს ასისტენტი მწვრთნელი:

„დინამო“ ახალგაზრდული, ვან-ლინი სავსე გუნდია და მას საკმაოდ კარგი მწვრთნელებიც ჰყავს. ზურაბ ტომარაძე და დავით უსტიაშვილი ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ ხვალ შევეცდებით ვაწყენინო მათ, ოღონდ კარგი გაგებით“.

ზურაბ ტომარაძე, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:

„დინამო“, მიუხედავად ხშირი ტრანზემებისა, სტაბილურ და თანმიმდევრულ თამაშს აჩვენებდა მთელი სეზონის განმავლობაში. ჩვენი გუნდი ფაქტობრივად სეზონის წინ დაკომპლექტდა და წესით, შეთამაშების პრიორიტეტი უნდა გვქონოდა, მაგრამ სამედნიეროდ, ამას არ ვუჩვენთ. „დინამოს“ არც ერთ მეტოქესთან არა აქვს უარყოფითი ბალანსი, რაც ჩვენს წარმატებაზე მიანიშნებს. ამ ოთხეულიდან ნებისმიერს შეუძლია, ჩემპიონი გახდეს, გაჩნია, ვინ როგორ იქნება მზად გადამწყვეტი მატჩებისთვის. ვალერი კილაძეს მცირე ტრავმა აწუხებს, ლაშა გამყრელიძეს კი ოჯახური პრობლემები ჰქონდა და ახლა იმას ვფიქრობ, როგორ შეხვდება ეს ორი მოთამაშე სტუს-თან ნახევარფინალურ მატჩებს. პირველი შეხვედრის მომგებს დიდი უპირატესობა მიენიჭება და ვეცდებით, გავიმარჯვოთ“.

შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩები ვერის ბაღში დღეს გაიმართება. თავდაპირველად, 14 საათზე მოედანზე „ავიამშენი“ და თსუ გავლენ, შემდეგ კი, 16 საათზე, „დინამო“ „სტუ-ჯეოსელს“ შეერკინება.

ირაკლი პერტაია

NBA PLAY OFF 2005

სიეტლი ეტლში

სუპერსონიქსმა საკრამენტოს გაუწყვიტა

— 3 მაისი —

აღმოსავლეთი

დეტროიტი 4:1 ფილადელფია

დეტროიტი 88:78 ფილადელფია

დეტროიტი: ბილაფსი (23), ჰამილტონი (23), პრინსი (14), რ. ვოლესი (9), ბ. ვოლესი (11 ქულა, 13 მოხსნა); მაკდაიესი (8), ჰანტერი, ჰემი

ფილადელფია: აივერსონი (34), კორვერი (3), იგუდალა (8), ვებერი (11), დალემბერტი (11 ქულა, 10 მოხსნა); მაკკი (5), როჯერსი (3), გრინი (2), ჯეკსონი

ალენ აივერსონს ვერავინ გაამტყუნებს. ასოციაციის ყველაზე ჩაუქმა მექულემ „დეტროიტ პისტონზს“ ხუთ შეხვედრაში ოთხჯერ ჩაუგდო 30 და მეტი ქულა, მაგრამ მისმა „ფილადელფიამ“ მაინც დამარცხებულმა დატოვა პლეი ოფი.

დაძაბული, თუმც ულამაზო გამოდგა ბოლო შეხვედრა. ორივე გუნდში უფრო დამცველები მარჯვობდნენ და ბურთებიც ძვირად ცვიოდა კალათში. პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში მცირედით, მაგრამ ძირითადად „ფილადელფია“ ლიდერობდა, თუმც სტუმრებმა ბოლო მეოთხედში ვეღარ გაუძლეს მასპინძელთა იერიშებს და თანდათან გატყდნენ. დეტროიტელმა რიჩარდ ჰამილტონმა თავისი 23 ქულიდან 10 დასკვნით 12-წუთეულში ჩაიწერა, ერთი მონაკვეთი კი 8:0 მოაგებინა „პისტონზს“ და 80:69 დააწინაურა, რაც უკვე საბოლოო გამარჯვებას ნიშნავდა.

„ყოველთვის ვამბობდით, რომ ბოლო მეოთხედი ჩვენი მეოთხედია“ — თქვა ჰამილტონმა. მისი „დეტროიტი“ მეორე წრეში ქვემო წყვილში გამარჯვებულს შეხვდება.

ბოსტონი 2:3 ინდიანა

ბოსტონი 85:90 ინდიანა

ბოსტონი: პეიტონი (10), დევისი (19), პირსი (27), უოლკერი (10), ლაფრენცი (6); ჯეფერსონი (6), ვესტი (5), ბანქსი (2), ალენი, რიდი, პერკინსი

ინდიანა: ტინსლი (6), მილერი (12), ჯეკსონი (15), ონილი (19 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (13); ფ. ჯონსი (10), ჯონსონი (7), ფოსტერი (4), პოლარდი (4), ფ. ჯონსი

„ინდიანა პეისერზმა“ ბოსტონში მეორედ დაამარცხა იქაური „სელტიქსი“ და სერიაშიც მეორედ დაწინაურდა, ამჯერად რეჯი მილერის, ჩამავალი ვარსკვლავის განსაკუთრებული გამოკაშკაშების გარეშე. ოთხ ათეულ წელს მიტანებულმა რეჯიმ 12 ქულა ჩაუგდო მასპინძლებს. ამდენიც ვერ გააკეთა უკანა ხაზში მისმა მეწყვილემ ჯამაალ ტინსლიმ, თუმც ნამატჩევს ყველა ამ ჯეელზე ლაპარაკობდა.

ტინსლის ტრავმის გამო რეგულარული ჩემპიონატის ბოლო 28. და პლეი ოფის პირველი 4 მატჩი გაუცდა. „ინდიანას“ კიდევ არაერთ მოთამაშე აკლდა ტრავმებისა და სხვა საქვეყნოდ ცნობილი მიზეზების გამო, თუმც აქამდე მაინც მოატანა და არც პირველი რაუნდიდან აპირებს უსახელოდ გავარდნას. უფრო ზუსტად, საერთოდ არ აპირებს. მით უფრო, რომ აგერ ძირითადი გამთამაშებელი გამოუჯანმრთელდა. ტინსლის განსაკუთრებით ბევრი ქულა არ მოუხვეჭია, მაგრამ სამაგიეროდ გონივრულად წარმართავდა თავისიანთა შეტევებს, ხუთ თანაგუნდელს ჩააგდებინა 10 და მეტი ქულა და 6 ქულით, 7 პასით და 5 ჩაჭრით დაასრულა შეხვედრა. გამთამაშებელიც ასეთი უნდაო, ტინსლის თამაშმა „ბოსტონის“ თავკაცი დიკ რივერსიც კი აღაფრთოვანა, მიუხედავად იმისა, რომ მას საკუთარ გუნდში ჰყავს გერი პეიტონი, რომელიც ლამის 10 წელი ნბა-ს საუკეთესო გამთამაშებლად ითვლებოდა.

დასავლეთი

სიეტლი 4:1 საკრამენტო

სიეტლი 122:118 საკრამენტო

სიეტლი: რიდნორი (10), ალენი (30), ლუისი (24), ევანსი (10), ჯეიმსი (11); კოლისონი (15), დანიელსი (14), რადმანოვიჩი (6), ფორტსონი (2)

საკრამენტო: ბიბი (35 ქულა, 10 პასი), ჰობლი (6), სტოიაკოვიჩი (38), ტომასი (7), მილერი (14 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა); ევანსი (13), უილიამსონი (4), სონგაილა (1), ჯეკსონი, ჰაუსი, სკინერი

ადრეც გვითქვამს, ახლა კი გავიმეოროთ, „სიეტლმა“ „საკრამენტო“ მისივე იარაღით, ანუ შეტევით დაამარცხა. ჩამიგდებ 100 ქულას? ჩაგიგდებ 110-ს. ჩამიგდებ 110-ს? ჩაგიგდებ 120-ს! „საკრამენტო“ ეს წლები სულ ამ პრინციპით გაჯერებული გადიოდა მოედანზე და უფრო იგებდა, ვიდრე აგებდა. 2002 წელს დასავლეთ კონფერენციის ფინალსაც კი უწია და იქ ცოტა იღბალი რომ შეშველებოდა, „ლეიკერსს“ დაამარცხებდა (სერიაში 3:2 უგებდა) და მერე, ვინ იცის, ფინალშიც ევაუკაცა. მაგრამ ჩაიარა „მეფეების“ ეტლმა. ახლა სხვანი ბატონობენ მოედანზე და მათ იარაღს უკეთაც მოიხმარენ.

„სიეტლმა“ „საკრამენტოსგან“ საკუთარ კალათში 118 ქულა მიიღო, თავად კი 122 ჩაუგდო. ეს მეოთხედ მოუგო და 2000 წლის შემდეგ პირველად დაითხოვა პირველი რაუნდიდან, თავად კი 1998 წლის შემდეგ პირველად გავიდა კონფერენციის ნახევარფინალში, სადაც „სან ანტონიოსა“ და „დენვერს“ შორის უკეთესს დაელოდება.

კოტე ყორღია

ხარებს ბულა ეზრდებათ

ბენ გორდონი საუკეთესო სათადარიგოა

რეგულარულის შემდგომი პირველი გამოკითხვა და პირველი გამარჯვებული: „ჩიკაგო ბულზის“ ახალბედა უკანასკნელმა ბენ გორდონმა 2004-05 წლების რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მეექვსე მოთამაშის, ანუ სათადარიგოს პრიზი დაიკუთვნა. 125 გამოკითხული ამერიკელი და კანადელი ჟურნალისტიდან გორდონს 88 კაცმა პირველი ხმა მისცა, 22 მეორე, 7 კი მესამე. შედეგად ჩიკაგოელმა 513 ქულა დააგროვა და უკან ჩამოიტოვა ამ სეზონის სხვა გამორჩეული სათადარიგოები — რიკი დევისი (ბოსტონი, 257 ქულა), ერლ ბოიკინსი (დენვერი, 155) და ჯერი სტეიკაუერი (დალასი, 95).

2004 წლის დრაფტზე მესამე ადგილზე არჩეული 191-სანტიმეტრიანი გორდონ „ჩიკაგოს“ 82-ჯერ თამაშში მონაწილეობდა და მათგან ძირითადი სამში დაიწყო მატჩი სასურველი ბურთულში. ამასთან, ეს იყო [illegible] ანუ მისი კარიერის პირველი [illegible] შეხვედრა და შემდეგ [illegible] სათადარიგო ვახლდათ, რამაც ასევე [illegible] და მის „ჩიკაგოსაც“ გადალახვა [illegible] 82 მატჩში საშუალოდ 15,1 ქულა, 2,6 მოხსნა და 2,0 პასი მოაგროვა და ნბა-ს ისტორიაში გახდა პირველი ახალბედა, ვინაც საუკეთესო მეექვსე თამაშად დაასახელეს.

ლაღობა ტიბრის სანაპიროზე

მასტერსერია

რომი. თიხნარი

საპრიზო 1,87 მილიონი €

პირველი წრე

მარატ საფინი (2, რუსეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:7 (3:7) 6:1 6:1; **გასტონ გაუდიო** (3, არგენტინა) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:4 6:3; **რაფაელ ნადალი** (5, ესპანეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:0 6:2; **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) — კარლოს მოია (7, ესპანეთი) 6:4 7:6 (9:7); **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 6:4 1:6 6:4; **გილერმო კორია** (9, არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 7:6 (7:5) 5:7 6:4

მოგეხსენებათ, 23 მაისს წლის მეორე სლემტურნირი, როლანგაროსობა იწყება და, რამდენადაც რომაულ მასტერსობას საროლანგაროსო სამზადისში უცენტრალურესი ალაგი უჭირავს, ამქრის უჩაუქესი მეჩოგნენი ტიბრის სანაპიროზე ლაღობას ფრიად სასურველ ამბად მიიჩნევენ. ზეპურთაგან რომში მხოლოდ რამდენიმეს თუ მოისაკლისებთ და ამათაც — ძირითადად ტრავმიანობის გამო. მოსაკლისებულთა შორისაა ამქრის უსტაბაში როჯერ ფედერერიც, ვისაც ერთდროულად ორივე ფეხი სტკენია და რომშიც სწორედ ამ მიზეზით არ ჩასულა.

მის უქმობაში კი კვლავაც შეუდარებელია 18 წლის ესპანელი რაფაელ ნადალი. წლევანდელი თიხნარსეზონის ამ უცილო ფავორიტმა — და, შეგახსენებთ, მის ანგარიშზე უკვე ოთხი თიხნარტიტული ირიცხება (მათ შორის ერთი მონტეკარლოურ მასტერსზე ნაშოვნიც) — იმ დღეს მარტის მერე უთამაშებელ რუს მიხაილ იუჟნის უპრობლემოდ გადაურბინა და ექვსი მარცხის წილ სეზონის 36-ე გამარჯვება მოითვალა, რის შედეგად ერთი მოგებით გადაუსწრო წლეულს ორი მარცხის დასტურსაპირწონედ 35 შეხვედრის მომგებ ფედერერს.

მისი ჩინებული ბურთაობის შემხედვარეთ ჭაბუკ რაფაელს ხოტბა აღუვლინეს დიადებმა — როლანგაროსობის სამგზის ჩემპიონმა გუსტავო კუერტენმა და რვაგზის სლემტიტულოსანმა ანდრე აგასიმ, ვისაც თითოჯერ მაინც დიდი მუზარადის ყველა ტურნირზე უმარჯვია და ერთხელ, ბუნებრივია, როლანგაროსობაზეც. კუერტენი ფიქრობს, რომ ნადალი საფრანგეთის ღია პირველობის უმთავრესი ფავორიტია და — ეს იმის მიუხედავად, რომ მას იქ აქამდე არასოდეს უთამაშია. კუერტენს ჩოგანს უკრავს გაოცდათხუთმეტწლისებული არმენიამერიკელიც, რომელიც ნადალის საჭურველიდან განსაკუთრებით გამოჰყოფს „ფენომენურ ხელწაღმასა“ და შემართებას და მისი თამაშის ძალუმ სტილს ავსტრიელი ტომას მუსტერისას ადარებს. მოგაგონებთ, რომ ეს დია განთქმული ავსტრიელი ასევე ცაცია გახლდათ და თანვე ნადალისებრ ლონიერი კაცი იყო.

სხვაფრივ — ტურნირს პირველსავე წრეში გამოაკლდა შარშანდელი ჩემპიონი კარლოს მოია, ვინაც ადგილობრივთა ისე რა ჯილა პოტიტო სტარაჩესთან დათმო. მოიას წაფორხილების მიზეზი მტკივანი მარჯვენა მხარია, რამაც მას წინა კვირაში თვისტომ ტომი რობრედოსთან ეშტორილური ნახევარფინალიც შეაწყვეტინა. მყისვე იოტა რომში მიუნხენობაზე გაჩემპიონების მერე ჩასული დავიდ ნალბანდიანიც. ჩანს, მან ვერ მოასწრო ძალების აღდგენა და შებერებულ ფრანგ ფაბრის სანტოროს დანებდა.

მეორე წრე

ენდი როდიკი (1, აშშ) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:4 7:5; **ტიმ ჰენმანი** (4, ბრიტანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:3 6:2; **ანდრე აგასი** (6, აშშ) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:2 6:3; **გილერმო კორია** (9, არგენტინა) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:1 6:1; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (16, შვედეთი) 6:3 6:4

QATAR TOTAT GERMAN OPEN

ბერლინი. თიხნარი

საპრიზო 1,3 მილიონი $

პირველი წრე

დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) — ნატალი დეში (9, საფრანგეთი) 7:5 6:1; **კიმ კლაისტერსი** (11, ბელგია) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 6:1 6:0; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (12, ბელგია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 7:5 4:6 6:1

მეორე წრე

სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:2 6:1; **კვეტა პეშკე** (ჩეხეთი) — ვერა ზვონარიოვა (5, რუსეთი) 6:2 6:0; **ნადია პეტროვა** (6, რუსეთი) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 7:5 6:4; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — ხესელა დულკო (არგენტინა) 6:1 6:3

სუპერბელგიელები — კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენ-არდენი ვარშავაშიც ერთად ბურთაობდნენ, მაგრამ ფუმფულა კიმმა იქ მხოლოდ მეოთხედფინალს უწია და თავისი 17-მოგებიანი სერია რუს სვეტლანა კუზნეცოვას წაამურდვლინა, ჭინკა ჟუსტინმა კი მთლად ფინალამდე გაატანა და იქ სწორედ ეგვეე კუზნეცოვა მიასალა. ახლა კიმი და ჟუსტინი უკვე ბერლინში არიან და რამე დურაქობა თუ არ მოხდა, ვინძლო რუსფანცქალებს ეფეული არც მანდ დაანებოს.

კიმმა პირველ წრეში ხელ ცალიც 44 წუთი მოანდომა უკრაინელი იულიანა ფედაკის დამოუკიდებლად და — გამოთვლა არც თქვენ ეკვეჭირდებოდათ — უკანასკნელ 19 მატჩში უკვე მეთვრამეტე გამარჯვება დაიგროვა. ნამატჩევს ის ამბობდა, რომ ვარშავი უფრო ეფექტიანად და მეტრთხალად ეთამაშებოდა და იმიტომ ჩაეთელავეო. ძალიან დღეს ისევ ჩემებურად შეეტეტერე და აწი — უ-ტა-ტა-ტა-ტა-ტა-ა-ა ვარშავაში (და მანამდე ჩარლსტონში) ნატიტულარ ჟუსტინს კი მაგრად გაუჭირდა 22 წლის ჩეხ ბენეშოვასთან. იმდენად, რომ ერთი სეტის დათმობაც კი მოუხდა. ჩანს, წინა კვირაში კაცურად დახარჯულს ილაჯი ბოლომდე ვერ აღუდგენია, თუმცა არც ისეთი დავჯანდაგებულია, ოვეტასნაირ ისე რა მეჩოგნეს რომ ვერ გასცვლის. ასე კი მოგაგონებთ, რომ ნაკრაკებალნაოპერაციანი კიმი და ვიდუსშეყრობილი ჟუსტინი კორტს ახლახანსლა მოუბრუნდნენ და უკვე ორორი ტიტულის დაგროვება მოასწრეს. ბერლინური თუ რომელი მათგანს ერგება — მოდით, ცოტა მოვითმინოთ — და „კვირის ბოლოს სულ ფერადულ ბოსტნეულში შეკვიტყობთ.

X ტური

29 აპრილი. ქრაისტჩარჩი

ძრუზეიდერსი 77:34 შარძსი

ძრუზეიდერსი: 11 ლელო: კარტერი, მარშალი, სომერვილი, ფილიპო, მაკდონალდი, ლაულალა, გირი (2), რალფი, ჰამილტონი
11 გარდასახვა: კარტერი (7), მერთენსი (4)
შარძსი: 5 ლელო: მხიზე, ფან დენ ბერგი, რასელი, ბრიკი, კაილი;
3 გარდასახვა: ბარნარდი; საჯარიმო: პინაარი

29 აპრილი. ბრისბეინი

რედსი 21:16 ძეთსი

რედსი: 2 ლელო: სელორი, ლათამი
გარდასახვა: ჰაქსლი; 3 საჯარიმო: ფლეტლი, ლათამი, ჰაქსლი
ძეთსი: 2 ლელო: ბუი, ფიური; 1 გარდასახვა: პრეტორიუსი; 1 საჯარიმო: პრეტორიუსი

30 აპრილი. პრეტორია

ბულზი 38:24 ბლუზი

ბულზი: 5 ლელო: ჰაბანა (2), ე. ბოთა (2), ნდუნგანე
2 გარდასახვა: შტეინი; 3 საჯარიმო: შტეინი
ბლუზი: 3 ლელო: ნაკეუა, ჰაულეტი, მულიაინა
3 გარდასახვა: მაკალისტერი; 1 საჯარიმო: მაკალისტერი

30 აპრილი. დუნედინი

ჰაილენდერსი 20:41 ვარატასი

ჰაილენდერსი: 2 ლელო: ევანსი, ბრიუ
1 გარდასახვა: ბლერი; 2 საჯარიმო: ბლერი
ვარატასი: 5 ლელო: ტურნუი, ვო, ვოუკერი, ჰიუთი, შეფერდი
2 გარდასახვა: ჰიუთი; 4 საჯარიმო: ჰიუთი

30 აპრილი. ველინგტონი

ჰარიკეინსი 49:37 ბრამბისი

ჰარიკეინსი: 7 ლელო: უმგა, ფაატუნონუ (3), გირი, ბოსი
4 გარდასახვა: გოპერთი; 2 საჯარიმო: გოპერთი
ბრამბისი: 4 ლელო: ფინეგანი, ბოლი, სმიტი, კემბელი
4 გარდასახვა: მორთლოკი (2), ჯერარდი (2); 3 საჯარიმო: მორთლოკი

30 აპრილი. კეიპთაუნი

სტორმერსი 34:37 ჩიფსი

სტორმერსი: 4 ლელო: ჰოლსე, ბარე, კონრადი (2)
4 გარდასახვა: დუტუ; 2 საჯარიმო: დუტუ
ჩიფსი: 4 ლელო: ტაიფო (2), ანსე, დონალდი
4 გარდასახვა: ჰილ; 3 საჯარიმო: ჰილ (2), დონალდი

ზე-თორმეტი

მსუბუქ-ბლუზი

ისე მოხდა, რომ ჯერ საღდგომო არდადეგებმა მოგვიწია, შემდეგ კი ჩვენი ცამეტკაცა რაგბის წარმატებამ გვაწერინა ბლომად და ახლალა გვეძლევა საშუალება, ზე-თორმეტის მეათე ტურის შესახებ მოვითხროთ, რომელიც იმავე დღეებში გაიმართა.

მოსათხრობი ბევრიც არაფერია. „ქრუზეიდერსმა" და „შარქსმა" რომ ქრაისტჩარჩში უხვლელოიანი მატჩი დააქუხეს და „რედსმა" სამხრეთაფრიკულ „ქეთსთან" ერთად ბრისბეინში გასართობადღა იბურთავა, ამაზე შაბათის „სარბიელშიც" წაიკითხავდით.

იმავ დღეს, ოღონდ მოგვიანებით, „ბულზმა" ზელანდიურ „ბლუზს" უმასპინძლა. ორივე გუნდს საპლეიოფოდ გადაუდია თავი და შეხლაც ფრიადი გამოდგა. პრეტორიაში სტუმრები ბევრს ეცადნენ მასპინძელთა გატეხვას, თუმც „ხარები" კარგად დაუდგნენ და საბოლოოდ 38:24 იმარჯვეს კიდეც.

მომდევნო დღეს სამი თამაში გაიმართა. „ჰაილენდერსმა" დუნედინში „ვარატასი" მიიღო და საკუთარი ტრიბუნების თვალწინ დამარცხდა ანგარიშით 20:41; ავსტრალიელებმა ამ გამარჯვებით ცხრილში ერთპიროვნული ლიდერობა დაიბრუნეს.

ველინგტონში „ბრამბისმა" მორიგი მარცხი იწვნია. მასპინძელმა „ჰარიკეინსმა" მოქმედ ჩემპიონს 49:37 მოუგო და სასწაული თუ არ მოხდა, წლეულს ზე-თორმეტს ახალი გამარჯვებული ეყოლება. ნაკლებსავარაუდოა, რომ მოქმედი ჩემპიონი, „ბრამბისი" პლეი ოფში მოხვდეს.

„სტორმერსი" — „ჩიფსის" მატჩზეც ვთქვათ. ბრძოლა დაძაბული გამოდგა და კარგი სასეიროც, მიუხედავად იმისა, რომ პლეი ოფში მოხვედრის შანსი ერთსაც ნაკლებად აქვს და მეორესაც. საბოლოოდ თამაში სტუმართა გამარჯვებით დასრულდა — 34:37.

ლადო ფულუკიძე

	თ	მ	ფ	ნ	ს	ბ	ქ
ვარატასი	9	7	0	2	124	8	36
ქრუზეიდერსი	9	7	0	2	144	7	35
ჰარიკეინსი	9	7	0	2	43	2	30
ჰაილენდერსი	9	6	1	2	44	1	27
ბლუზი	9	6	0	3	44	2	26
ბულზი	9	5	0	4	5	5	25
ბრამბისი	9	4	0	5	-25	5	21
ჩიფსი	9	4	0	5	-1	4	20
რედსი	9	3	0	6	-61	5	17
სტორმერსი	9	2	1	6	-49	4	14
ქეთსი	9	1	0	8	-95	6	10
შარქსი	9	1	0	8	-173	4	8

ვენაში ყინული გაპლღვალა

ვენასა და ინსბრუკში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. როგორც ვიუწყებოდით, ნჰლ-ს ჩემპიონატის გაუქმების გამო ლიგის ყველა საუკეთესო მოთამაშეს მიეცა თავისი ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვის შესაძლებლობა, ვიუწყებოდით აშშ-სა და კანადის ნაკრებთა მზადყოფნაზეც, ახლა კი ევროპულ გუნდებსაც გადავხედოთ და რამდენიმე შეხვედრაზეც შევჩერდეთ.

ამ ჩემპიონატში, ჩეხები, რუსები და სლოვაკები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზობენ. სლოვაკები ისედაც ყოველთვის გამოირჩეოდნენ ქვეყნისადმი დიდი სიყვარულით, მაგრამ ამჯერად ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბეს. პავოლ დეზერტაც კი, რომელიც ბოლო მომენტამდე ყოყმანობდა ოჯახური მიზეზების გამო, დათანხმდა ავსტრიაში წასვლაზე და შედეგად სლოვაკთა გუნდში მათმა უკლებლივ ყველა ვარსკვლავმა მოიყარა თავი.

პრაქტიკულად იგივე ითქმის ჩეხებზე და რუსებზე. პირველთა სიძლიერეზე იაროსლავ იაგრის, მარტინ სტრაკას, მარტინ რუჩინსკისა და მარტინ ჰავლატის სახელებიც მეტყველებს, რამდენიმე ძლიერი მოთამაშის არყოფნა კი (ელიანში, ჰეიდუკი) ტრავმებითაა განპირობებული.

აი, რუსების დიდი მონდომება კი ერთობ მოულოდნელია. ეტყობა, ჰოკეის ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ქვეყანას მობეზრდა გაუთავებელი წარუმატებლობა და რუსები ამჯერად ძალიან აგრესიულად არიან განწყობილნი. მათ წლეულს ევროტური (ტრადიციული ტურნირი ჩეხეთის, რუსეთის, შვედეთისა და ფინეთის მონაწილეობით) მოიგეს, რაც პირველად მოხდა ამ შეჯიბრების 9-წლიან ისტორიაში.

უნდა ითქვას, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, რუსთა რიგებში ქაოსი და გაუგებრობაც არ სუფევდა. გამოცდილ ჰოკეისტებთან ერთად ავსტრიაში ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მაღალი კლასის მოთამაშეებად ქცეული ვუნდერკინდები — ალექსანდრ ოვეჩკინი და ევგენი მალკინი გამოდიან.

აი, სკანდინავებმა კი ამჯერად ნამდვილად გაგვაოცეს თავიანთი გულგრილობით. ცხადია, ყველას თავისი პირადი მიზეზი აქვს, მაგრამ იმავე შვედებს თუ ერთბაშად ათიოდე ვარსკვლავი გამოაკლდებოდა, არავინ ელოდა, მათ შორის თვით გუნდის თავკაცებიც. ხუმრობაა, გუნდს სუნდინი, ფორსბერგი, ნესლუნდი, ლიდსტრიომი, ნიულანდერი დააკლდა. თუმც მედლისთვის „ვიკინგები" მაინც იბრძოლებენ.

დაახლოებით იგივე ვითარებაა ფინელთა გუნდშიც. სუომელებს ისედაც შვედებზე ნაკლები ვარსკვლავი ჰყავთ ნჰლ-ში, ტეემუ სელიანეს და საკუ კოივუს გარეშე კი ამ გუნდს რა საჭემპიონო იერი ექნება.

წინა წლებთან შედარებით, მსოფლიოს ჩემპიონატის ფორმულა არ შეცვლილა. ამიტომაც უბრალოდ შევახსენებთ მას მკითხველს. ამრიგად, პირველ ეტაპზე 16 გუნდი 4 ჯგუფადაა გაყოფილი:

A (სლოვაკეთი, რუსეთი, ავსტრია, ბელარუსი)

D (კანადა, აშშ, ლატვია, სლოვენია)

C (შვედეთი, ფინეთი, დანია, უკრაინა)

D (ჩეხეთი, შვეიცარია, გერმანია, ყაზახეთი)

თითო ჯგუფიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გადის, სადაც ორი ექვსგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება (შესაბამისად ერთმანეთს A და D, და B და C ჯგუფების გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს). ეს ეტაპი 6 მაისიდან 10 მაისამდე გაგრძელდება. ამ ჯგუფებიდან ოთხ-ოთხი გუნდი გადის მეოთხედფინალში, რის შემდეგაც მედლები საპლეიოფო სისტემით გათამაშდება (12-15 მაისი). პირველ ეტაპზე ჯგუფებში ბოლო ადგილებზე დარჩენილები კი უმაღლესი დივიზიონიდან გავრდნილ ორ გუნდს გამოარკვევენ. მანამდე კი ყინულზე უკვე დიდი ბრძოლებია.

ყველაზე საინტერესო მესამე დღე გამოდგა — ერთმანეთს ფავორიტები, სლოვაკეთი და რუსეთი შეხვდნენ. უნდა ითქვას, რომ თამაშმა მოლოდინი სრულიად გაამართლა და უაღრესად საინტერესოდ წარიმართა. ისეთი ბრძოლა გახურდა, ყინულიც კი დნებოდა (ამაზე კიდევ მოგვიანებით ვიტყვით) და ორივე თანამსაჯი დაზარალდა. ერთს შაიბამ დაუშავა ხელი, მეორემ კი რუს ჰოკეისტთან შეჯახებაში მუხლი იტკინა.

თავად შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, საბოლოოდ კი ფრე — 3:3.

სხვა ფავორიტებმა, აშშ-ს ნაკრების გარდა, მძიმე ბრძოლა გადაიტანეს. მარიან გაბორიკმა მხოლოდ 57-ე წუთზე მოუტანა გამარჯვება სლოვაკებს ბელარუსებთან მატჩში, ხოლო შვედებმა 51-ე წუთზე (ალფრედსონმა) გატეხეს კიდევ ერთი სლავური გუნდი, უკრაინა. კანადელებს ტრადიციულად გაუჭირდათ ლატვიელებთან შეხვედრაში (ეს ორი გუნდი ბოლო წლებში უკვე მერამდენედ ეჯახება ერთმანეთს). ბალტიისპირელები 2:5 აგებდნენ, მაგრამ უმრავი ქომაგის მხურვალე მხარდაჭერის დახმარებით ანგარიში მინიმუმამდე დაიყვანეს (როგორია, მარტინ ბროდოს ოთხი გოლი გაუტანო!) და მხოლოდ რიკ ნეშის გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი დასრულებამდე 5 წუთით ადრე.



ამერიკელმა ჯეფ ჰალპერნმა სლოვაკთა მეკარე რობერტ კრისტანი გააცურა

სხვათა შორის, 20 წლის კანადელმა ამ თამაშში ჰეთ თრიქი შეასრულა და ამას ერთი პასიც დაამატა. მაგრამ 2 მაისს „კოლუმბუსის" ფორვარდის მიღწევა ბელარუსმა მიხაილ გრაბოვსკიმ გააუფერულა. ახალგაზრდა ფორვარდმა, რომელსაც უკვე დაადგეს თვალი სკაუტებმა, ერთბაშად ოთხი შაიბა შეუგდო ავსტრიელებს, „ბელარუსი ნეშის" მეტსახელიც დაიმსახურა და მასპინძლებს პრაქტიკულად გადაუწურა მეორე რაუნდში გასვლის იმედი.

ზემოთ ვთქვით, ვენაში ყინული დნებაო, მაგრამ მხოლოდ რუსთა და სლოვაკთა მატჩში არა... ვენაში ტემპერატურა 30 გრადუსამდე აიწია, რასაც „შტადჰალეს" გამყინავმა მოწყობილებებმაც კი ვერ გაუძლეს და პირველივე თამაშების შემდეგ ყინულზე წყლის გუბეები გაჩნდა. ამის შემდეგ ნაკრებების ვარჯიშები სხვა არენაზე გადაიტანეს, თუმც საქმეს დიდად არ ეშველა. ამან იიჰფ-ის მუდამ მშვიდი პრეზიდენტი რენე ფაზელიც კი გააცხარა. მან მკაცრად გააკრიტიკა ორგანიზატორები, სადაა თქვენი დაპირება, რომ „შტადჰალე" ყველა მოულოდნელობისთვის მზადაა.

სამაგიეროდ, ჩემპიონატზე დასწრება ახარებს ორგანიზატორებს. ქომაგები ყველა მატჩზე ავსებენ ტრიბუნებს.

ტურნირის მეოთხე დღეს კანადელებმა უპრობლემოდ მოუგეს უმაღლესი ეშელონის დებიუტანტ სლოვენიას 8:0.

გაცილებით დაძაბული გამოდგა ჩეხების და გერმანელების ბრძოლა. ჩეხებმა მთელი მატჩი მეტოქის ზონაში ჩაატარეს, უამრავი მომენტი შექმნეს, მაგრამ გოლები დიდი გაჭირვებით გაიტანეს.

სამწუხაროდ, მეორე პერიოდში იაგრი დაშავდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ყვანჯი ჩაარტყეს ხელში. ამის შემდეგ იაროსლირი ყინულზე აღარ გასულა და მომდევნო მატჩშიც საეჭვოა მისი მონაწილეობა.

ამავე ჯგუფში ძალიან პრინციპული შეხვედრა შედგა. გერმანელთა მოულოდნელი ძლევის შემდეგ ყაზახეთის გუნდს მეორე ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გაუჩნდა და შვეიცარიასთან ფრეც ხელს აძლევდა, მაგრამ...

საინტერესო იყო ყაზახთა თავკაც ნიკოლაი მიშაგინის მატჩისშემდგომი კომენტარი: „გერმანელებთან მოგების შემდეგ, ცხადია, საკუთარი ძალების რწმენა მოგვეცა, მაგრამ ამჯერად ბიჭებს იმან შეუშალა ხელი, რომ ფრეზე ვთამაშობდით. რას იზამ, მცირედით დაკმაყოფილება რუსებს სისხლში გვაქვს".

რუსების ხსენება მკითხველს რომ არ გაუკვირდეს, გეტყვით, რომ ყაზახეთის ნაკრები ფაქტობრივად ერთი ქალაქის, უსტ-კამენოგორსკის წარმომადგენელთაგან შედგება, რომლებიც მხოლოდ რუსები ან უკრაინელები არიან.

სამგელ ღარიბიანი

A ჯგუფი:
ავსტრია 2:4 რუსეთი
სლოვაკეთი 2:1 ბელარუსი
რუსეთი 3:3 სლოვაკეთი
ბელარუსი 5:0 ავსტრია

B ჯგუფი
კანადა 6:4 ლატვია
აშშ 7:0 სლოვენია
კანადა — სლოვენია 8:0
აშშ — ლატვია 3:1

C ჯგუფი
ფინეთი 2:1 დანია
შვედეთი 3:2 უკრაინა
ფინეთი 4:1 უკრაინა
შვედეთი 7:0 დანია

D ჯგუფი
ჩეხეთი 3:1 შვეიცარია
ყაზახეთი 2:1 გერმანია
ჩეხეთი — გერმანია 2:0
შვეიცარია — ყაზახეთი 2:1

საქართველოს XV ჩემპიონაჯი

პირველი ფინალური წრე

ჩემპიონი გაირკვა?

გიორგი ციცალიძის ფოტო

„თბილისმა“ შეკარდნელები ვერ შეაჩერა

სტუ-შევარდენი 30:20 ხ/კ თბილისი

სტუ-შევარდენი: ტალახაძე (გაიტანა 10 გოლი), რუსია (7), კობახიძე (4), ბოყოჩაძე (3)

თბილისი: გელაშვილი (7), სამარღანიშვილი (6), ფორაქიშვილი (3)

საუ-მამული 35:22 ძარიშხალა

საუ-მამული: წივწივაძე (15), სიხარულიძე (5), ოსიყმაშვილი (4), ღაღანიძე (4)

ძარიშხალა: გრიშიკაშვილი (5), გოგალაძე (4), გელა არაბული (4)

თელავი 36:33 ქუთაისი

თელავი: ჯიშკარიანი (12), ნატროშვილი (6), გიორგელაშვილი (6), ჩიკვაიძე (4), მეტრეველი (4)

ქუთაისი: მამასახლისი (13), ჩუბინაშვილი (5), გოგონაძე (5), ცერცვაძე (5)

პირველი ფინალური წრის დასკვნით ტურში ორი, საჩემპიონოსაბრინჯაო მატჩი გაიმართა. ორივეში დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი, თუმც ვარაუდი არ გამართლდა. ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენმა“ და აგრარული უნივერსიტეტის „მამულმა“ საქმე პირველ ტაიმში მოამთავრეს და იოლად სძლიეს მეტოქეებს.

ცხადია, უმთავრესი ყურადღება „სტუ-შევარდენისა“ და ხელბურთის კლუბ „თბილისისკენ“ იყო მიმართული. ტექნიკოსები ქულით უსწრებდნენ კონკურენტებს და გამარჯვების შემთხვევაში თითქმის გაინაღდებდნენ მორიგ, მე-15 ტიტულს, „თბილისს“ კი ფრეც შეუნარჩუნებდა „ოქროს“ შანსს.

შევარდნელთა აწყობილ ანსამბლს პრაქტიკულად სუსტი ადგილი არ აქვს. „გრძელი სკამი“ მათ საშუალებას აძლევს, ერთდროულად ორი, ზოგჯერ კი სამი მოთამაშეც შეცვალონ და ამით თამაშის ქარიშხლური ტემპი შეინარჩუნონ. თანაც ჩინებულად ორგანიზებული, აქტიური დაცვა ბურთის ჩაჭრით და უსწრაფესი გარღვევით გოლების გატანას სისტემატურად ახერხებს.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ „გაქცევებს“ 202-სანტიმეტრიანი გიგანტი ვლადიმერ რუსიაც ახერხებს.

არადა, თბილისელებმა დასაწყისშივე რუსიას პერსონალური დარაჯი მიუჩინეს, შემდეგ ალექსანდრე ბოყოჩაძეც „აიყვანეს“, მაგრამ ამით ვერ იხეირეს, სხვა ტექნიკოსებს ხელფეხი გაეხსნათ და მეცხრე წუთზე ოთხი ბურთით დაწინაურდნენ — 6:2. მერე ჩემპიონებმა თანდათან გაზარდეს უპირატესობა და ტაიმი ორმაგი სხვაობით — 15:17 მოიგეს.

მატჩის ბედიც გადაწყდა. „თბილისის“ მეგოლეებს — ლევან გელაშვილს და ლაშა სამარღანიშვილს მონდომება არ დაუკლიათ, მაგრამ იმ დღეს ჩემპიონთა მომრევები ვერ იყვნენ.

„სტუ-შევარდენი“ ამ მოგებით სატურნირო ცხრილში სამი ქულით დაწინაურდა და ფაქტობრივად ჩემპიონობაც გაინაღდა. მართალია, სეზონის ფინიშამდე ხუთმატჩიანი წრეა, მაგრამ წარმოუდგენელია, ლიდერმა ეს უპირატესობა გაფლანგოს.

ფინალური ექვსეულის მეორე, დასკვნითი წრე 16-21 მაისს ჩატარდება.

გია ახალაძე

სატურნირო ვითარება

	მ	ფ	ვ	ბ	ქ
სტუ-შევარდენი	21	0	1	+305	42
თბილისი	19	1	2	+99	39
საუ-მამული	13	1	8	+212	27
ძარიშხალა	12	1	9	+28	25
თელავი	10	0	12	-31	20
ქუთაისი	8	1	13	- 46	17

მეგოლეები

			გოლი	თამაში	საშ.
1	ვლადიმერ რუსია	სტუ-შევარდენი	244	21	11,6
2	გიორგი წივწივაძე	საუ-მამული	209	17	12,2
3	გოჩა მშვიდობაძე	გორი	184	16	11,5
4	ლაშა სამარღანიშვილი	ხ/კ თბილისი	157	22	7,1
5	ვახტანგ ჯიშკარიანი	თელავი	148	21	7,0
6	გიორგი ნატროშვილი	თელავი	142	22	6,4
7	გიორგი კობახიძე	საუ-მამული	137	22	6,2
8	ირაკლი ქირია	ქარიშხალა	134	19	7,0
9	მერაბ ჯოჯუა	სამტრედია	132	16	8,2
10	ლევან გელაშვილი	ხ/კ თბილისი	125	22	5,6

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეხუთე ეტაპი



პირველი ჩინური

შანხაის შარშან გახსნილ სუპერტრეკზე მოტომხედრებმა პირველად გაიჯირითეს. მოტოსპორტის 56-წლიან ისტორიაში ჩინეთი გახდა 28-ე ქვეყანა, სადაც საჩემპიონატო ეტაპი გამართულა.

უხვირად ჩაატარა კვალიფიკაცია ლიდერმა ყველაზე მძლავრ, „გრან პრის“ კატეგორიაში ვალენტინო როსიმ. იტალიელმა „დოქტორმა“ მხოლოდ მეექვსე შედეგი აჩვენა. პოული ზედიზედ მეორედ მოიგო ესპანელმა სეტე გიბერნომ, მაგრამ სტარტზე შეფერხდა და თავიდანვე ორი პოზიცია დაკარგა. არადა, რბოლა თავსხმაში მიმდინარეობდა, გიბერნო კი „წვიმის კაცად“ ითვლება. ისე, ეს ეპითეტი გულზე მაინცდამაინც არ ეხატება, მშრალ ტრასაზეც შემიძლია მოგებაო.

სამაგიეროდ, ჩვეულ აგრესიულ სტილში დაიწყო როსიმ და უცებ ორი მეტოქე ჩამოიტოვა, მეორე წრეზე კი გიბერნოს და ჯონ ჰოპკინსს გასწრო და გალიდერებულ კენი რობერტსს გამოუდგა. „დაჭერობანა“ დიდხანს არ გაგრძელებულა — მეხუთე წრეზე ამერიკელის „სუბუკი“ მოსახვევში ზედმეტად ფართო ტრაექტორიით შევიდა და „დოქტორმა“ ელეგანტური მანევრით აუარა გვერდი, მერე კი იმხელა უპირატესობა მოიპოვა, ვერავინ შეძლო წამოწევა. ეს 26 წლის იტალიელის პრაქტიკულად კარიერაში 70-ე გამარჯვებაა.

ეტაპის გმირად 31 წლის ოლივიე ჟაკი უნდა ჩაითვალოს. ფრანგი მრბოლი ორი წელიწადია, საგუნს არ გაჰკარებია. ახლაც უჭირდა იქნებოდა, მაგრამ „კავასაკის“ დაშავებული პილოტის, გერმანელ ალექს ჰოუმანის შეცვლა მოუხდა ოლივიეს შე-11 პოზიციიდან დაიწყო, ჩინელად ირბოლა და 116-კილომეტრიანი დისტანციის მესამედის გავლის მერე უკვე მეოთხე იყო. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და დაბორილ ტრეკზე სხვები რომ დაფიღავდნენ, მან რისკიანად გაიარეს, ოთხჯერ წრე უსწრაფესად გაიჭრა და ჯერ მაქს ბიაჯი, შემდეგ კი გიბერნოც ჩამოიტოვა.

250 კუბურ სანტიმეტრიან კლასის ექსჩემპიონმა სენსაციური მეორე ადგილი მოიპოვა 47-ე საკარიერო რბოლაში.

ჩინეთის დიდი პრიზი. შანხაი — 5281 მ

მოტო გრან პრი — 116,2 კმ

1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) ---------- 50 წთ; 02,5
2 ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, კავასაკი) ---------- ჩამორჩა 1,7
3 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) ---------- 16,5

საერთო ჩათვლა

1 როსი 70 ქულა; 2 მელანდრი 45; 3 ალექს ბარუში (ბრაზილია, ქემელ ჰონდა) 43; 4 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) 36; 5 სეტე გიბერნო (ესპანეთი, მოვისტარ ჰონდა) 33

250 სმ³ — 110,9 კმ

1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია) ---------- 48 წთ; 07,2
2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) ---------- ჩამორჩა 0,2
3 ჰიროსი აოიამა (იაპონია, ტელეფონიკა ჰონდა) ---------- 21,4

საერთო ჩათვლა

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) 38 ქულა; 2 დოვიზიოსო 33; 3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია იტალია) 27; 4 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია ასპარი) 27; 5 სტოუნერი 25

125 სმ³ — 100,3 კმ

1 მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) ---------- 46 წთ; 30,3
2 ფაბრიციო ლაი (იტალია, კოპრონ ჰონდა) ---------- ჩამორჩა 0,1
3 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) ---------- 4,9

საერთო ჩათვლა

1 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) 45 ქულა; 2 მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) 31; 3-4 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, აპრილია) 29; ლაი 29; 5-6 მანუელ პოჯიალი (სან მარინო, ჯილერა) 21; პასინი 21

ფიდე ხელგაშლილებისკენ იხრება

კუნძულ სარდინიის ჩრდილოაღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ალგეროს ხელმძღვანელობას გაერთიანებული მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. ალგეროელებმა ამის შესახებ უკვე ფიდეს აცნობეს და თავიანთი პირობებიც გააცნეს, ისინი თამაშებს 13 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე უმასპინძლებენ და საპრიზო თანხად 1,5 მილიონ დოლარს გამოდიან.

შეგახსენებთ, რომ აქამდე ჩემპიონატის მასპინძლობა არგენტინის ქალაქ სან-ლუისს სურდა და საპრიზო ფონდად 1 მილიონ დოლარს ასახელებდა, თუმც ახლა სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა და შესაძლოა, ფიდემ უფრო ხელგაშლილი იტალიელების ვარიანტი მიიწონოს.

ჩემპიონატში პლანეტის რვა უძლიერესი დიდოსტატი ითამაშებს: რუსები — გარი კასპაროვი, ვლადიმერ კრამნიკი და ალექსანდრ მოროზევიჩი; უნგრელი პეტერ ლეკო, უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, ინდოელი ვიშვანათან ანანდი და ინგლისელი მაიკლ ადამსი.

მოსალოდნელია, რომ კასპაროვმა და კრამნიკმა უარი თქვან ჩემპიონატში მონაწილეობაზე. მაშინ ფიდე მათ შემცვლელებს რეიტინგში მოწინავეთაგან შეარჩევს.

ლაზა გეგეჭკორი

ქალები სამოცდამეორედ შემოკრებენიან

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ქალთა 62-ე ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრში 14 მანდილოსანი ითამაშებს და მათ შორის ბევრი ცნობილი დიდოსტატია.

ჩემპიონატის ორი გამარჯვებული ავტომატურად ნაკრებში მოხვდება, ხოლო სამი ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

თამაშები დიდ დარბაზში გაიმართება და საპრიზო თანხა 4 ათასი ლარი იქნება.

ლაზა გეგეჭკორი

AFP სან დიეგოდან

სხვა ბურთი

ანა კურნიკოვა სან დიეგოში ყოფილა და იქ საბეისბოლო მატჩის გამხსნელად წაუშუშავებია. სანდიეგოელი „პადრეები“ „არიზონა დაიმონდბექს“ მასპინძლობდნენ.

AFP ვალენსიიდან

ჯონი ნავში

ფრანგ მომღერალ ჯონი ჰოლიდეის ბევრი ცოლი ჰყოლია ცხოვრებაში; ლეტიცია ბოლო ამათგანია. ჯონი და ლეტიცია ამერიკის თასისთვის მოვარჯიშე ორი ფრანგული ნავიდან ერთზე იმყოფებიან, ვალენსიის ნავსადგურში.

კრიკეტი ბიგ ბენთან

AFP ლონდონიდან

ლონდონში, პარლამენტის წინ ერთი კარგი მდელოა, შორიახლო ჩერჩილის ძეგლი დგას. ჰოდა, სწორედ იქ გაუხურებიათ კრიკეტი მოხალისე ინგლისელებს.

დიეგოს გზით

არგენტინელი გასტონ გაუდიო ლისაბონის ღია ტურნირის ფინალში ესპანელ ტომი რობრედოს ხვდებოდა. ჩოგბურთელს ქომაგები გვარიანად ახლდნენ, ოღონდ კორტზე მაინც დიეგო მარადონას მაისურა გადმოუფენიათ, რაც გამარჯვების და სიდიადის სიმბოლო უნდა იყოს.

AFP ლისაბონიდან

რვა წამი

ეს, რა თქმა უნდა, როდეოა. ხარის მხედრად გაძლების ვადა რვა წამია. იმას ზევით კი ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ჯოდი ნიუბერიმ გაძლებაც იცის და გადმოვარდნაც. ნასაუში იქაური ღია პირველობა მიმდინარეობს.

AFP ნასაუდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეშვილი, ლადო ხოშტარია, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, ლევან კვლაურიძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge